პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 9 ივლისი, 1944 წ. № 139 (7082). ფასი 20 კაპ.

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა 8 ივლისს, ცხენოსანი ჯარისა და სატანკო შენაერთების შემოვლითი მანევრისა და ქვეითი ჯარის ფრონტალური იერიშის შეხამების შედეგად დაიკავეს ბელორუსიის საოლქო ცენტრი — ქალაქი ბარანოვიჩი — დიდმნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძი და გერმანელთა თავდაცვის მძლავრი გამაგრებული რაიონი, რომელიც იფარავდა ბელოსტოკისა და ბრესტის მიმართულებას.

ჩვენმა ჯარებმა გადასჭრეს ვილნიუს-დვინსკის რკინიგზა და შეიჭრნენ ქალაქ ვილნიუსში, სადაც ბრძოლები ვამართეს ქალაქის ქუჩებში.

სახელი და დიდება წითელ არმიას, რომელიც საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძნული მხედართმთავრობით გმირულად იბრძვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა სრული მოსპობისათვის!

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ როკოსოვსკის

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა დღეს, 8 ივლისს, ცხენოსანი ჯარისა და სატანკო შენაერთების შემოვლითი მანევრისა და ქვეითი ჯარის ფრონტალური იერიშის შეხამების შედეგად დაიკავეს ბელორუსიის საოლქო ცენტრი — ქალაქი ბარანოვიჩი — დიდმნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძი და გერმანელთა თავდაცვის მძლავრი გამაგრებული რაიონი, რომელიც იფარავდა ბელოსტოკისა და ბრესტის მიმართულებას.

ქალაქ ბარანოვიჩის და ბარანოვიჩის გამაგრებული რაიონის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ ლუჩინსკის, გენერალ-პოლკოვნიკ ბატოვის, გენერალ-მაიორ პერხოროვიჩის, გენერალ-მაიორ შვარიოვის, გენერალ-მაიორ ალექსეევის, გენერალ-მაიორ ივანოვის, პოლკოვნიკ სიჩოვის, გენერალ-მაიორ ვლადიჩანსკის, გენერალ-მაიორ დანილოვის, გენერალ-მაიორ კუზნეცოვის, გენერალ-მაიორ გორისოვის, გენერალ-მაიორ ფროლენკოვის, გენერალ-მაიორ გორიშნის, პოლკოვნიკ ჯანჯღავას, პოლკოვნიკ მოროზოვის, გენერალ-მაიორ გრებენიკის ჯარებმა; გენერალ-ლეიტენანტ კლიეევის, პოლკოვნიკ პოპრიკაილოს, გენერალ-მაიორ ტუტარინოვის, გენერალ-მაიორ გოლოვსკის ყუბანელმა კავალერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ბახაროვის, პოლკოვნიკ კუზნეცოვის, პოლკოვნიკ ბარანიუკის, პოდპოლკოვნიკ ბოიკოს, პოდპოლკოვნიკ ტრუშკინის, პოდპოლკოვნიკ კოსტიუჩენკოს, პოდპოლკოვნიკ ვერლანის, პოდპოლკოვნიკ გაცუკის, პოდპოლკოვნიკ სოკოლოვის, მაიორ ტურჩინის ტანკისტებმა; პოლკოვნიკ კირილოვის, მაიორ დანილჩენკოს, მაიორ აფანასიევის, პოდპოლკოვნიკ კისლიცკის, პოდპოლკოვნიკ კუდიმოვის, პოდპოლკოვნიკ ხლოპენკოს, პოდპოლკოვნიკ ნოვიკოვის, მაიორ სოლომონიკოვის, მაიორ პოდოკრიგორას, კაპიტან იაკოვლევის, კაპიტან იბრაჰიმოვის, პოლკოვნიკ კორჩაგინის, მაიორ შმიგელის არტილერისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ რუდენკოს, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ოსიპენკოს, ავიაციის გენერალ-მაიორ ძუსოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ კომაროვის, პოლკოვნიკ ჩირვას, პოდპოლკოვნიკ შერსტიუკის მფრინავებმა და საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ იოფეს, პოლკოვნიკ ვორონოვის მესანგრეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები დან ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ ბარანოვიჩისა და ბარანოვიჩის გამაგრებული რაიონის დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „ბარანოვიჩის“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 8 ივლისს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი სალუტის ძალღონეს 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი ბარანოვიჩი.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ბარანოვიჩის დაკავებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 8 ივლისი.

მოსკოვი, კრემლი

უმაღლეს მთავარსარდალს საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე!

ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარების მებრძოლებმა, სერჟანტებმა, ოფიცრებმა და გენერლებმა, რომლებიც აღფრთოვანებული არიან წითელი არმიის სახელოვანი ისტორიული გამარჯვებებით, წითელი არმიისა, რომელიც თქვენი ხელმძღვანელობით ანადგურებს გერმანელ დამპყრობლებს სამამულო ომის ყველა ფრონტზე, პირადი დანაზოგებიდან შეაგროვეს და წყეულ მტერზე ჩვენი გამარჯვების ფონდში შეიტანეს ნაღდ ფულად და სახელმწიფო სესხების ობლიგაციებით 20.894.702 მანეთი. გარდა ამისა, ფრონტის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ შეიტანეს 3.698.301 მანეთი ნაღდ ფულად და სახელმწიფო სესხების ობლიგაციებით ფრონტელ მეომართა შვილების დახმარების ფონდში და 54.509 მანეთი ნაღდ ფულად—ოდესის აღსადგენად.

მთელ ჩვენს ხალხთან ერთად ჩვენ, მებრძოლები, ოფიცრები და გენერლები, აღგზნებული ვართ ერთი სურვილით — მთელი ჩვენი ძალები, ცოდნა, ენერგია და საშუალებანი მოვახმაროთ მტრის განადგურების საქმეს და მივაღწიოთ უსწრაფეს და საბოლოო გამარჯვებას.

ფრონტის ჯარები ასრულებენ თქვენს მიერ დასახულ ამოცანას, სამამულო ომის გამოცდილების საფუძველზე დაუღალავად იუმჯობესებენ საბრძოლო მომზადებას და მზად არიან თქვენი პირველი ბრძანებისთანავე წავიდნენ ბრძოლაში და ბოლო მოუღონ მტერს მის ბუნაგში.

გაუმარჯოს ჩვენს ღიად საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევ მეგობრობას!

გაუმარჯოს ჩვენს გამარჯვებას მტერზე!

გისურვებთ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე, მრავალ წელს ჯანმრთელობას და მხნეობას ჩვენი ხალხის საბედნიეროდ და სასახელოდ, მტრის თავზარდასაცემად.

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარების სარდალი
არმიის გენერალი ტიულენევი

ამიერ-კავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი
გენერალ-მაიორი ეფიმოვი

ამიერ-კავკასიის ფრონტის პოლიტსამმართველოს უფროსი
გენერალ-მაიორი სოროკინი

ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარების სარდალს არმიის გენერალ ტიულენევს
ამიერ-კავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრს გენერალ-მაიორ ეფიმოვს
ამიერ-კავკასიის ფრონტის პოლიტსამმართველოს უფროსს გენერალ-მაიორ სოროკინს

გადაეცით ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარების მებრძოლებს, სერჟანტებს, ოფიცრებსა და გენერლებს, რომლებმაც სსრ კავშირის თავდაცვის ფონდში შეაგროვეს 20.894.702 მანეთი ფულად და სახელმწიფო სესხების ობლიგაციებით, ფრონტის კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას, რომლებმაც შეაგროვეს 3.698.301 მანეთი ფულად და ობლიგაციებით ფრონტელთა შვილების დახმარების ფონდში და 54.509 მანეთი ოდესის აღსადგენად, — ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა.

ი. სტალინი

ბ-ნი ერიკ ა. ჯონსტონი გაემგზავრა სსრ კავშირიდან

ა. წ. 7 ივლისს სსრ კავშირიდან გაემგზავრა ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ბ-ნი ერიკ ა. ჯონსტონი.

სსრ კავშირში თავისი ყოფნის დროს ბ-ნმა ერიკ ა. ჯონსტონმა ინახულა მთელი რიგი ქალაქების მრავალი სამრეწველო საწარმო და კულტურული დაწესებულება. (საკდესი)

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
8 ივლისის ოპერაციული ცნობა

8 ივლისის განმავლობაში ქალაქ პეტროზავოდსკის დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ფუნდუსელგა, კურგოილა, გულია, ვეფკალიცი, კიურენსელგა, სონა, იუდინოვი, რეტსუ, კიასნიასელკია.

ვილნიუსის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას ავითარებდნენ და დაიკავეს ბარანოვიჩის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი ივიე, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 500-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები პოდბროძე, ნამეენინი, გეზდანი, ნოვაია ვილნა, მედნიკი, ტაბორიშკი, ბრაუშიშკი, ბოლშანი, ლიპნიშკი, მორინო, და რკინიგზის სადგურები პოდბროძე, პაილგე, სანტოკა, გეზდანი, ნოვაია ვილნა, შუმსკასი, კენა, კივიშკესი, ვოიგიანი, იურატიშკი, ივიე. ამრიგად, ჩვენმა ჯარებმა გადასჭრეს ვილნიუს-დვინსკის რკინიგზა. ჩვენი ჯარები შეიჭრნენ ქალაქ ვილნიუსში, სადაც ბრძოლები გამართეს ქუჩებში.

ქალაქ ბარანოვიჩის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც შეტევას განაგრძობდნენ, დაიკავეს ბარანოვიჩის ოლქის რაიონული ცენტრები ლუბჩა, ბორროდიზჩე, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 150-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები დელიატიჩი, ვეიტსკოვო, ოტაშინი, პოგბერეეზე, შჩორსი, ერემიჩი, კორელიჩი, ტურეცი, ნოვაია ბოგინიჩი, ცირინი, პოლონეჩა.

ქალაქ მინსკის აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ოპერაციას მოწინააღმდეგის გარშემორტყმული ნაწილების სალიკვიდაციოდ. წინასწარი ცნობებით, 4-დან 7 ივლისამდე ბრძოლების მსვლელობაში ამ რაიონში ჩვენმა ჯარებმა შემდეგი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ: მოსკოვილია: 56 ტანკი, 219 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 208 ნაღმსატყორცნი, 915 ტყვიამფრქვევი, 1.674 ავტომანქანა. მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დატოვა 28 ათასზე მეტი თავისი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი. ამავე ხნის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს შემდეგი ტროფეები: 34 ტანკი, 278 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 184 ნაღმსატყორცნი, 860 ტყვიამფრქვევი, 1.635 ავტომანქანა, 60 ტრაქტორი და საწვავი, 930 სახლდარი ტვირთიანად, 1.567 ცხენი.

ტყვედ წამოუყვანილია 15.102 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. 7 ივლისს ჩვენს ჯარებს ტყვედ დანებდნენ გერმანელთა 41-ე სატანკო კორპუსის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი პოფმანსტერი, მე-60 მოტორიზებული დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი შტაინკელერი, 383-ე ქვეითი დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი ზირი. გრძელდება ბრძოლები მოწინააღმდეგის ცალკეული დაჭრილნი ჯგუფების მოსასპობად.

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა 8 ივლისს დაიკავეს ბელორუსიის საოლქო ცენტრი ქალაქი ბარანოვიჩი — დიდმნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძი და გერმანელთა თავდაცვის მძლავრი გამაგრებული რაიონი. ფრონტის ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს აგრეთვე 50-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის პინსკის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი და რკინიგზის სადგური ბანცევიჩი, დიდი დასახლებული პუნქტები ვილიკოე სელო, ჟაბინცი, პოდლტარინი, ბელოლესინე, პეტრევიჩი, მალაია და ბოლშაია ვოლოხვა, გუტა, ლიპსკი, ნოვოსელიოლკი და რკინიგზის სადგურები ქროშინი, დომაშევიჩი, გუდი.

ქალაქ პინსკის აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაში დაიკავეს დასახლებული პუნქტები ოარლი, მალე, ბერეზნე, ბიალოგუშა, ბლინკა, ბოროდნო, ოსოვა, ვიძიბური და რკინიგზის სადგურები ბორინი, ვიძიბური.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

7 ივლისის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაანიანეს და მოსპეს გერმანელთა 27 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 34 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ავიაციის მასირებული თავდასხმები რკინიგზის კვანძებზე ბრესტსა და ლიდაზე

7 ივლისს ღამით ჩვენმა ავიაციამ მასირებული თავდასხმები მოახდინა რკინიგზის კვანძებზე ბრესტსა და ლიდაზე. დაიბომბა გერმანელთა თავშოყრილი სამხედრო ეშელონები და მოწინააღმდეგის სამხედრო საწყობები. რკინიგზის კვანძ ბრესტში დაბომბვის შედეგად ათობით ხანძარი გაჩნდა. იწვოდა ვაგონები და პლატფორმები სამხედრო ტექნიკიანად, საომარ მასალიანად და ცისტერნები საწვავიანად. ხანძრებს თან ახლდა აფეთქებანი. უდიდესი ძალის აფეთქება მოხდა რკინიგზის კვანძის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ჩვენი მფრინავები სამიზნოდან რომ ბრუნდებოდნენ, 200 კილომეტრ მანძილიდან ხედავდნენ ხანძართა ალს.

რკინიგზის კვანძ ლიდის დაბომბვა ნათელ ამინდში ხდებოდა. ბომბების პირდაპირი მოხვედრებით აფეთქებულია რკინიგზის სამი შემადგენლობა, მათ შორის ერთი ეშელონი საწვავიანად. ხანძრებს თან ახლდა დიდი ძალის აფეთქებანი. ცეცხლი მოედო რკინიგზის კვანძის მთელ ტერიტორიას.

* * *

ვილნიუსის მიმართულებით ჩვენი ჯარები წარმატებითს შეტევას განაგრძობდნენ. გაფთრებულ ბრძოლაში ჩვენმა ნაწილებმა გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვის ზოლი, რომელიც ქალაქ ვილნიუს იფარავდა. საბჭოთა ქვეითებმა, ტანკისტებმა და არტილერისტებმა წარმატება განავითარეს, ქალაქში შეიჭრნენ და ბრძოლები ვაიჩიეს ქუჩებში. მოწინააღმდეგეს უდიდესი ზარალი მოსდის. მარტო ერთ უბანზე ჩვენმა ტანკისტებმა გასწყვიტეს 900 ჰიტლერელი, ნოსპეს 5 ტანკი, 8 საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარეა და 40 ტყვიამფრქვევი. სხვა უბანზე განადგურებულია გერმანელთა ქვეითი ჯარის პოლკი, რომელიც გზიდანვე გამოიყვანეს ბრძოლაში. ჩვენმა ჯარებმა რამდენიმე სადგური დაიკავეს ვილნიუს-დვინსკის რკინიგზაზე. ხელთ ვიგდეთ დიდი დაკვა — რკინიგზის ეშელონები, საწყობები და დიდძალი საბურველი.

* * *

ქალაქ ბარანოვიჩის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა რამდენიმე ადგილას გადალახეს მდინარე ნემანი, შეტევა განავითარეს და წინ წაიწიეს 20-30 კილომეტრით. ჩვენმა ნაწილებმა სწრაფი დარტყმით დაიკავეს ბარანოვიჩის ოლქის რაიონული ცენტრი ბოროდიზჩე. ბარანოვიჩ-ნოვოგრუდოკის გზატკეცილი ჩვენმა ჯარებმა გადასჭრეს. ერთ უბანზე 5 ნაწილის ქვეგანაყოფებმა გაულტეს 600 ჰიტლერელი და ხელთ იგდეს 3 თვითმავალი და 8 საველე ქვემეხი, 19 ნაღმსატყორცანი და 66 ტყვიამფრქვევი. სხვა უბანზე საბჭოთა მებრძოლები გარშემოერტყნენ ჰიტლერელთა ასეულს. ასზე მეტმა გერმანელმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა იარაღი დაჰყარა და ტყვედ დაგვნებდა.

* * *

ქალაქ მინსკის აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები წარმატებითს ბრძოლებს განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის გარშემორტყმული ნაწილების მოსასპობად. ერთ უბანზე 1.000-ზე მეტმა გერმანელმა სცადა გაჭრილიყო დასავლეთისაკენ. საბჭოთა მეავტომატეებმა არტილერისტების დახმარებით თითქმის სავსებით გაულტეს ჰიტლერელთა ეს ჯგუფი. ჩვენი ჯარები განუწყვეტლივ ურტყამდნენ მოწინააღმდეგეს და განვლილ დღეს 5.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს. მოკლულთა შორის აღმოჩნდა გერმანელი გენერლის გვამი. გუშინ ჩვენს ჯარებს ტყვედ დანებდა კიდევ სამი გერმანელი გენერალი.

მინსკის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით

მოკავშირე არმია, 7 ივლისი (საკდესის სპეც. კორ.). ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარები წინსვლას განაგრძობენ სატანკო მოძრავმა რაზმებმა დაიკავეს რკინიგზის სადგური სოლი — 60 კილომეტრზე ვილნოსთან. აქედან იწყება ოშმიანი-ვილნოსაკენ მიმავალი გზატკეცილი. მოლოდეჩნოს სამხრეთ-დასავლეთით მოქმედმა სატანკო ჯგუფებმა დაიკავეს ყამირგზებისა და გზატკეცილების დიდმნიშვნელოვანი კვანძი.

ქვეითმა ქვეგანაყოფებმა, რომლებმაც ტანკისტების წარმატება განამტკიცეს, წინ წაიწიეს და მიადგნენ მდინარე ოშმიანკის ზღუდეს, სადაც მოწინააღმდეგე ცდილობს შეაჩეროს ჩვენი შეტევა. გერმანელებმა ბრძოლაში გამოიყვანეს სპეციალური ქვეგანაყოფები. ამრიგად, ჩვენი ჯარების შეტევის განმავლობაში, რაც 23 ივნისს დაიწყო, ტყვედ წამოყვანილია თითქმის ეგერმანელი გენერალი, მათ შორის სამი კორპუსის მეთაური. გერმანელთა 41-ე სატანკო კორპუსის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი ჰოფმანსტერი ტყვედ წამოყვანილ იქნა შემდეგ ვითარებაში. წითელარმიელთა ჯგუფი ტყეს ჩხრეკდა და გერმანელთა რაზმს წაეწყდა. საბჭოთა მებრძოლები გარშემოერტყნენ ჰიტლერელებს და წინადადება მისცეს დაუყოვნებლივ დანებებულიყვნენ. გერმანელებმა იარაღი დაჰყარეს, ტყვედ დანებებულთა შორის აღმოჩნდა გერმანელი გენერალ-ლეიტენანტი ჰოფმანსტერი.

* * *

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა დღეს დაიკავეს ბელორუსიის სს რესპუბლიკის საოლქო ცენტრი ქალაქი ბარანოვიჩი. გერმანელები დიდ იმედს ამყარებდნენ ბარანოვიჩის გამაგრებულ რაიონზე. ისინი ემყარებიან მრავალრიცხოვან ხანგრძლივ თავდაცვითს ნაგებობას და გაფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევენ. გერმანელთა სარდლობამ სასწრაფოდ გადმოიყვანა აქ გერმანელთა და უნგრელთა ახალი ნაწილები. მოწინააღმდეგე ძლიერი ცეცხლითა და კონტრიერიშებით ცდილობდა შეეჩერებინა ჩვენი ჯარების წინსვლა. საბჭოთა ტანკისტებმა და კავალერისტებმა ჩრდილოეთიდან შემოვლითი მანევრით გადასჭრეს ბარანოვიჩ-ლიდის რკინიგზა, შეიჭრნენ ბარანოვიჩის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ გარეუბანში და ქუჩებში ბრძოლები გააჩაღეს. ამასობაში ჩვენმა ქვეითმა ნაწილებმა, რომლებმაც ფარულად მოიყარეს თავი, დაარტყეს გერმანელთა ჯარების შესაყარს, გასტეხეს გერმანელთა თავდაცვა მდინარე შარის ნაპირას და ბარანოვიჩისაკენ გაემართნენ აღმოსავლეთიდან. საბჭოთა ქვეითები იერიშით იღებდნენ გერმანელთა წინააღმდეგობის კვანძებს და სწრაფად მიიწევდნენ წინ. გაფთრებული ბრძოლები მთელ ღამეს გაგრძელდა. დღეს დილით ქალაქი ბარანოვიჩი სავსებით გაწმენდილი იყო გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან. მოწინააღმდეგეს მძიმე ზარალი მოუვიდა. მხოლოდ ქალაქის ჩრდილოეთ გარეუბანში ხელთ ვიგდეთ 70 ქვემეხი, 5 დიდი საწყობი სამხედრო ქონებიანად. რკინიგზის კვანძზე ხელთ ვიგდეთ ბევრი მოძრავი შემადგენლობა სხვადასხვა ტვირთიანად.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ორსული ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გადიდების, დედისა და ბავშვის დაცვის გაძლიერების, „გმირი დედის“ საპატიო წოდების, „სახელოვანი დედის“ ორდენისა და „დედოგბის მედლის“ დაწესების შესახებ

ბავშვებისა და დედებისათვის და ოჯახის განმტკიცებისათვის ზრუნვა მუდამ იყო საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა. დედისა და ბავშვის ინტერესთა დაცვით სახელმწიფო დიდ მატერიალურ დახმარებას უწევს ორსულ ქალებსა და დედებს შვილების შესანახად და აღსაზრდელად. ომის დროს და ომის შემდეგ, როცა მრავალ ოჯახს უფრო მნიშვნელოვანი მატერიალური სიძნელეები აქვს, საჭიროა სახელმწიფო დახმარების ღონისძიებათა შემდგომი გაფართოება.

ორსული ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის მატერიალური დახმარების გასადიდებლად, მრავალშვილიანობის წასახალისებლად და დედისა და ბავშვის დაცვის გასაძლიერებლად, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

I.
მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გადიდების შესახებ

1. დაწესდეს, რომ მრავალშვილიან დედებს (ქმრიანსა და ქვრივს), რომელთაც ჰყავთ ორი შვილი, სახელმწიფო დახმარება ეძლევათ მესამე და თვითეული შემდეგი ბავშვის დაბადებისას, ნაცვლად ამჟამად არსებული წესისა, რის თანახმადაც სახელმწიფო დახმარება ეძლევათ ექვს შვილიან დედებს მეშვიდე და თვითეული შემდეგი ბავშვის დაბადებისას.

2. მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გაცემა სწარმოებდეს შემდეგი წესითა და ოდენობით:

	ერთ-დროულად	ყოველ-თვიურად
ორშვილიან დედებს, მესამე ბავშვის დაბადებისას . . .	400 მან.	—
სამშვილიან დედებს მეოთხე ბავშვის დაბადებისას . . .	1.300 „	80 მან.
ოთხშვილიან დედებს მეხუთე ბავშვის დაბადებისას . . .	1.700 „	120 „
ხუთშვილიან დედებს მეექვსე ბავშვის დაბადებისას . . .	2.000 „	140 „
ექვსშვილიან დედებს მეშვიდე ბავშვის დაბადებისას . . .	2.500 „	200 „
შვიდშვილიან დედებს მერვე ბავშვის დაბადებისას . . .	2,500 „	200 „
რვაშვილიან დედებს მეცხრე ბავშვის დაბადებისას . . .	3,500 „	250 „
ცხრაშვილიან დედებს მეათე ბავშვის დაბადებისას . . .	3,500 „	250 „
ათშვილიან დედებს თვითეული შემდეგი ბავშვის დაბადებისას . . .	5,000 „	300 „

ყოველთვიური დახმარება მრავალშვილიან დედებს მიეცეთ ბავშვის დაბადების მეორე წლიდან, სანამ ბავშვი ხუთი წლის ასაკს არ მიაღწევს.

იმ დედებს, რომელთაც ამ ბრძანებულების გამოცემის დღისათვის სამი, ოთხი, ხუთი და ექვსი შვილი ჰყავთ, ამ მუხლით გათვალისწინებული დახმარება ეძლევათ თვითეულ ბავშვზე, რომელიც დაიბადება ამ ბრძანებულების გამოცემის შემდეგ.

დედები, რომელთაც ამ ბრძანებულების გამოცემის დღისათვის შვიდი ან მეტი შვილი ჰყავთ, ინარჩუნებენ მრავალშვილიანობის დახმარების მიღების უფლებას იმ წესითა და ოდენობით, რაც დაწესებულია სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1936 წლის 27 ივნისის დადგენილებით, სახელდობრ: მეშვიდე, მერვე, მეცხრე და მეათე ბავშვზე იღებენ ორ-ორ ათას მანეთს ყოველწლიურად ხუთი წლის განმავლობაში ბავშვის დაბადების დღიდან. მეთერთმეტე და თვითეულ შემდეგ ბავშვზე ერთდროულად ხუთი ათას მანეთს და ყოველწლიურად სამ ათას მანეთს ოთხი წლის განმავლობაში ბავშვის დაბადების მეორე წლიდან. ამ ბრძანებულების გამოცემის შემდეგ თვითეული შემდეგი ბავშვის დაბადებისას დახმარება გაიცემა ბრძანებულების ამ მუხლით დადგენილი წესითა და ოდენობით.

მრავალშვილიანობის სახელმწიფო დახმარების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღებიან სამამულო ომის ფრონტებზე დაღუპული ან უკვალოდ დაკარგული შვილები.

3. დაწესდეს სახელმწიფო დახმარება მარტოხელა დედებისათვის (რომელნიც დაქორწინებულნი არ არიან) ამ ბრძანებულების გამოცემის შემდეგ დაბადებული შვილების შესანახად და აღსაზრდელად შემდეგი ოდენობით: 100 მანეთი თვეში თითო ბავშვზე, 150 მანეთი — ორ ბავშვზე და 200 მანეთი სამსა და მეტ ბავშვზე.

მარტოხელა დედებს სახელმწიფო დახმარება ეძლევათ, სანამ შვილები თორმეტი წლის ასაკს არ მიაღწევენ.

მარტოხელა დედებს, რომელთაც სამი და მეტი შვილი ჰყავთ, ამ მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო დახმარება ეძლევათ დამატებით მრავალშვილიანობის დახმარებისა, რომელსაც ამ ბრძანებულების მეორე მუხლის შესაბამისად იღებენ.

მარტოხელა დედის დაქორწინებისას ამ მუხლით გათვალისწინებული დახმარების უფლება მას ენახება.

დედები, რომელნიც ალიმენტებს იღებენ ამ ბრძანებულების გამოცემამდე დაბადებული ბავშვებისათვის, ალიმენტების მიღების თავიანთ უფლებას ინარჩუნებენ ბავშვის სრულწლოვანობამდე და ამ მუხლით გათვალისწინებულ დახმარებას არ იღებენ.

1944 წელს ამ ბრძანებულების გამოცემამდე დაბადებული შვილების დედებს, რომლებიც მათთვის ალიმენტებს არ იღებენ, აქვთ ამ მუხლით გათვალისწინებული დახმარების მიღების უფლება.

4. თუ მარტოხელა დედა მოისურვებს მის მიერ დაბადებული ბავშვი მიაბაროს აღსაზრდელად საბავშვო დაწესებულებას, საბავშვო დაწესებულება ვალდებულია ბავშვი შესანახად და აღსაზრდელად მიიღოს მთლიანად სახელმწიფოს ხარჯზე.

ბავშვის დედას უფლება აქვს გაიყვანოს ბავშვი საბავშვო დაწესებულებიდან და თვითონ აღზარდოს.

საბავშვო დაწესებულებაში ბავშვის ყოფნის განმავლობაში სახელმწიფო დახმარება ბავშვისათვის არ გაიცემა.

5. გადიდდეს ოდენობა ერთდროული დახმარებისა, რის გაცემაც სწარმოებს სოციალური დაზღვევის და კოოპერატიული არტელების ურთიერთდახმარების სალარათა სახსრებიდან ახალდაბადებული ბავშვისათვის, 45 მანეთიდან 120 მანეთამდე. დაწესდეს, რომ დედები უნდა უზრუნველყოფილ იქნან, რომ აღნიშნული თანხით იყიდონ ახალდაბადებულისათვის თეთრეულის კომპლექტი.

II.
ორსული ქალებისათვის, დედებისათვის და დედისა და ბავშვის დაცვის დაწესებულებათა ღონისძიებათა ქსელის გაფართოების შესახებ

6. გაუდიდდეს ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულება მუშა ქალებს და მოსამსახურე ქალებს 63 კალენდარული დღიდან 77 კალენდარულ დღემდე, ამასთან შვებულების ხანგრძლიობა დაწესდეს 35 კალენდარული დღე მშობიარობამდე და 42 კალენდარული დღე მშობიარობის შემდეგ და ამ პერიოდისთვის გაიცეს დახმარება სახელმწიფოს ხარჯზე წინათ დაწესებული ოდენობით. არანორმალური მშობიარობის ან ტყუპის დაბადების შემთხვევაში მშობიარობის შემდეგ შვებულება წესდება 56 კალენდარული დღის ხანგრძლიობით.

დაეკალოს საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ორსულ ქალებს მორიგი შვებულება მისცენ მშობიარობისა და ორსულობის გამო შვებულების შეფარდებით.

7. ორსულ ქალებს, ოთხი თვის ორსულობიდან დაწყებული, არ დაეკისროთ საზეგანაკვეთო მუშაობა საწარმოებსა და დაწესებულებებში, ხოლო ქალებს, რომელთაც ძუძუთა ბავშვები ჰყავთ, — ღამით მუშაობა ბავშვის კვების პერიოდში.

8. ერთიორად გაუდიდდეთ დამატებითი სასურსათო ულუფა ორსულ ქალებს ორსულობის მეექვსე თვიდან დაწყებული და დედებს, რომლებიც ძუძუს აწოვებენ, ძუძუს წოვების ოთხი თვის განმავლობაში.

9. დაეკალოს დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებს დახმარება აღმოუჩინონ ორსულ ქალებს და მეძუძურ დედებს დამზმარე მეურნეობებიდან პროდუქტების დამატებითი მიცემის გზით.

10. განთავისუფლებულ იქნას საბავშვო ბაღებსა და ბაგებში ბავშვების ჰოთავსების ფასის 50 პროცენტით მშობლები:

რომელთაც სამი შვილი ჰყავთ, ხოლო მათი ხელფასი შეადგენს 400-მდე მანეთს თვეში;

რომელთაც ოთხი შვილი ჰყავთ, ხოლო მათი ხელფასი შეადგენს 600-მდე მანეთს თვეში;

რომელთაც ხუთი და მეტი შვილი ჰყავთ, რა ხელფასიც უნდა ჰქონდეთ.

11. დაეკალოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს:

ა) დაამტკიცოს რესპუბლიკებისა და ოლქების მიხედვით დედისა და ბავშვის სახლებს, აგრეთვე ხელმოკლე ორსული მარტოხელა ქალებისა და დასუსტებული მეძუძური დედებისათვის სპეციალური დასასვენებელი სახლების დამატებითი მოწყობის გეგმა ისე, რომ ამ დაწესებულებებში გამოყენებულ იქნას დაგსვენებელთა შრომა შესაფერის ს

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ოჯახული ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გადიდების, დედისა და ბავშვის დაცვის გაძლიერების, „გმირი დედის“ საპატიო წოდების, „სახელოვანი დედის“ ორდენისა და „დედობის მედლის“ დაწესების შესახებ

(დასასრული)

III.

„დედობის მედლის“, „სახელოვანი დედის“ ორდენისა და „გმირი დედის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ

12. დაწესდეს „დედობის მედალი“ I და II ხარისხისა იმ დედების დასაჯილდოებლად, რომლებმაც შობეს და აღზარდეს:

ხუთი შვილი — II ხარისხის მედალი;

ექვსი შვილი — I ხარისხის მედალი.

13. დაწესდეს „სახელოვანი დედის“ ორდენი I, II და III ხარისხისა იმ დედების დასაჯილდოებლად, რომლებმაც შობეს და აღზარდეს:

შვიდი შვილი — III ხარისხის ორდენი;

რვა შვილი — II ხარისხის ორდენი;

ცხრა შვილი — I ხარისხის ორდენი.

14. დაწესდეს, რომ დედას, რომელმაც შობა და აღზარდა ათი შვილი, მიენიჭება „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცემა „გმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი.

15. „სახელოვანი დედის“ ორდენით და „დედობის მედლით“ დაჯილდოება და „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭება ხდება მაშინ, როცა უკანასკნელი შვილი მიაღწევს ერთი წლის ასაკს და ამ დედის დანარჩენი შვილები ცოცხალნი არიან.

დედის დაჯილდოებისას მხედველობაში მიიღებიან ის შვილებიც, რომელნიც სამამულო ომის ფრონტებზე დაიღუპნენ ან უკვალოდ დაიკარგნენ.

IV.

სსრ კავშირის უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მეცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადის შესახებ

16. შესაცვლელად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 21 ნოემბრის ბრძანებულებისა „სსრ კავშირის უცოლო, უქმრო, მარტოხელა და უშვილო მოქალაქეთა გადასახადის შესახებ“ დაწესდეს, რომ გადასახადს იხდიან მოქალაქენი, რომელთაც შვილები არა ჰყავთ და მოქალაქენი, რომელთაც ჰყავთ ერთი და ორი შვილი:

მამაკაცები 20 წელზე ზევით მეტი ასაკიდან 50 წლამდე და ქალები 20 წელზე მეტი ასაკიდან 45 წლამდე.

17. გადასახადი უნდა გადახდეთ შემდეგი ოდენობით:

ა) მოქალაქეთ, რომელნიც საშემოსავლო გადასახადით იბეგრებიან, თუ შვილი არა ჰყავთ, მათი შემოსავლის 6 პროცენტი, თუ ერთი შვილი ჰყავთ,—1 პროცენტი და თუ ორი შვილი ჰყავთ,—მათი შემოსავლის ½ პროცენტი;

ბ) კოლმეურნეებს, ერთპიროვნულ მეურნეებს და სხვა მოქალაქეებს, რომელნიც საკოლმეურნეო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრავი მეურნეობების შემადგენლობაში შედიან, თუ შვილები არა ჰყავთ, — 150 მანეთი წელიწადში, თუ ერთი შვილი ჰყავთ, — 50 მანეთი, თუ 2 შვილი ჰყავთ,—25 მანეთი წელიწადში;

გ) დანარჩენ მოქალაქეთ, თუ შვილები არა ჰყავთ, — 90 მანეთი წელიწადში, თუ ერთი შვილი ჰყავთ, — 30 მანეთი, თუ ორი შვილი ჰყავთ — 15 მანეთი წელიწადში.

18. განთავისუფლდეს გადასახადით დაბეგვრისაგან:

ა) რიგითი, სერჟანტთა და ზემდეგთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურენი;

ბ) მოქმედი არმიის და მოქმედი ფლოტის შემადგენლობაში შემავალი საჯარისო ნაწილებისა და დაწესებულებების ოფიცერთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურენი;

გ) ამ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნულ სამხედრო მოსამსახურეთა ცოლები;

დ) ქალები, რომელნიც სახელმწიფოსაგან დახმარებას ან პენსიას იღებენ შვილების შესანახად;

ე) მოქალაქენი, რომელთაც შვილები დაეღუპათ ან უკვალოდ დაეკარგათ სამამულო ომის ფრონტებზე;

ვ) საშუალო და უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლენი — ვაჟები და ქალები 25 წლის ასაკამდე.

ზ) ინვალიდობის I და II ჯგუფის ინვალიდები.

V.

ქორწინების, ოჯახისა და მეურვეობის შესახებ კანონთა ცვლილებებზე

19. დაწესდეს, რომ მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოკავშირე რესპუბლიკათა ქორწინების, ოჯახისა და მეურვეობის შესახებ კანონთა კოდექსებით.

იმ პირთ, რომელნიც ფაქტიურად საქორწინო ურთიერთობაში იმყოფებიან ამ ბრძანებულების გამოცემამდე, შეუძლიათ თავიანთი ურთიერთობა გაფორმონ ქორწინების რეგისტრაციის გზით, ამასთან აღნიშნონ ფაქტიური ერთად ცხოვრების ვადა.

20. გაუქმდეს სარჩელით სასამართლოში დედის მიმართვის არსებული უფლება მამის დადგენისა და ალიმენტების გადახდევინების შესახებ იმ ბავშვის შესანახად, რომელიც მას გაუჩნდა იმ პირისაგან, ვისთანაც იგი რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფება.

21. დაწესდეს, რომ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის ორგანოებში იმ დედის მიერ შობილი ბავშვის რეგისტრაციისას, რომელიც რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფება, ბავშვი იწერება დედის გვარზე და მამის სახელი ეძლევა დედის მითითებით.

22. პასპორტებში აუცილებლად ჩაიწერის რეგისტრირებული ქორწინება მეუღლის გვარის, სახელის, მამის სახელისა და დაბადების წლის, აგრეთვე ქორწინების რეგისტრაციის ადგილისა და დროის აღნიშნით.

23. დაწესდეს, რომ გაყრა სწარმოებს საჯაროდ, სასამართლოს საშუალებით. გაყრის გამო საქმე მეუღლეთა თხოვნით საჭირო შემთხვევებში შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსმენილ იქნას სასამართლოს დახურულ სხდომაზე.

24. ქორწინების შეწყვეტის შესახებ სასამართლო წარმოების აღსაძრავად დაწესდეს შემდეგ მოთხოვნათა სავალდებულო დაცვა:

ა) სახალხო სასამართლოში წარდგენილ უნდა იქნას განცხადება, რომელშიც გამოთქმულია ქორწინების შეწყვეტის სურვილი და აღნიშნულია გაყრის მოტივები, აგრეთვე მეუღლის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი და საცხოვრებელი ადგილი; ქორწინების შეწყვეტის შესახებ განცხადების შემტანი იხდის 100 მანეთს;

ბ) სასამართლოში გამოძახებულ უნდა იქნას მეუღლე, რათა გაეცნოს გაყრის შესახებ მეუღლის მიერ შეტანილ განცხადებას და წინასწარ გამოარკვიოს გაყრის მოტივები, აგრეთვე დადგენილ იქნას მოწმენი, რომელნიც უნდა გამოძახონ სასამართლო განხილვის დროს;

გ) ადგილობრივ გაზეთში უნდა გამოცხადდეს სასამართლო წარმოების აღძვრა გაყრის შესახებ. ამასთან განცხადების ღირებულება უნდა გადახდეს ქორწინების შეწყვეტის შესახებ განცხადების შემტან მეუღლეს.

25. სახალხო სასამართლო მოვალეა გამოარკვიოს ქორწინების შეწყვეტის შესახებ განცხადების შეტანის მოტივები, მიიღოს ზომები მეუღლეთა შესარიგებლად, რისთვისაც აუცილებლად უნდა გამოძახებულ იქნან ორივე გასაყრელი მეუღლე და საჭიროების შემთხვევაში—მოწმეები.

თუ მეუღლეთა შერიგება სახალხო სასამართლოში არ შესდგა, მოსარჩელეს უფლება აქვს ქორწინების შეწყვეტის შესახებ განცხადება შეიტანოს ზემდგომ სასამართლოში.

დაწესდეს, რომ ქორწინების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლია საოლქო, სამხარეო, საოკრუგო, საქალაქო სასამართლოს ან მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს.

26. საოლქო, სამხარეო, საოკრუგო, საქალაქო სასამართლომ ან მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ, თუ აუცილებლად სცნობენ ქორწინების შეწყვეტას, უნდა:

ა) გამოარკვიონ, გასაყრელ მეუღლეთაგან რომელთან რომელი ბავშვები რჩებიან, აგრეთვე რომელი მშობელთაგანი რამდენად ვალდებულია ბავშვების შესანახ ხარჯები;

ბ) გამოარკვიონ გასაყრელ მეუღლეთა შორის ქონების ნატურით ან წილობრივი გაყოფის წესი;

გ) მიანიშნონ თვითეულ გაყრილ მეუღლეს მათი სურვილისამებრ ქორწინებამდელი გვარი.

27. გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის ორგანოები გამოსწერენ გაყრის მოწმობას, რომლის დაცდა მისს თვითეული მეუღლის პასპორტში აღინიშნება გაყრა და სასამართლოს განჩინების მიხედვით ერთს ან ორივე მეუღლეს გადახდება 500-დან 2 ათას მანეთამდე.

28. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოებს ამ ბრძანებულების შესაბამისად შეიტანონ საჭირო ცვლილებანი მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობაში.

29. დაევალოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დაამტკიცოს ამ ბრძანებულების შესაბამისად დებულება ორსული ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის დახმარების დანიშნულება და გაცემის წესის შესახებ.

30. დაევალოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დაამტკიცოს ლონისძიებანი მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების (ქორწინება, დაბადება და სხვა აქტები) რეგისტრაციის საქმის მოსაწესრიგებლად, ამასთან გაითვალისწინოს რეგისტრაციის ჩატარების საზეიმო წესის შემოღება, ამისათვის სათანადო სადგომის გამოყოფა და მათი მოწყობა, მოქალაქეთათვის სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტების მიცემა.

31. პროკურატურის ორგანოებმა მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისგებაში მისცენ ის პირნი, ვინც დამნაშავე იქნება იმაში, რომ უკანონოდ გაკაკთა აბორტი, აიძულა ქალი აბორტი გაეკეთებინა, შეურაცხყო და დაამცირა დედა-ქალის ღირსება, ურჩად არ გადაიბადა შვილების შესანახი ალიმენტი.

32. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) მე-5, მე-8, შე-10, 27-ე და 28-ე მუხლები სსრ კავშირის ციკისა და სახკომსაბჭოს 1936 წლის 27 ივნისის დადგენილებისა „აბორტის აკრძალვის, მშობიარეთათვის მატერიალური დახმარების გადიდების, მრავალშვილიანთათვის სახელმწიფო დახმარების დაწესების, სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაღებისა და საბავშვო ბაღების ქსელის გაფართოების, ალიმენტის გადახდევინებისათვის სისხლის სამართლის სასჯელის გაძლიერების და გაყრის შესახებ კანონმდებლობაში ზოგიერთ ცვლილებებზე“ (სსრ კავშირის კანონთა კრებული, 1936 წ. № 34, მუხლი 39);

ბ) სსრ კავშირის ციკისა და სახკომსაბჭოს 1936 წლის 14 ნოემბრის დადგენილება „მრავალშვილიანი დედებისათვის დახმარების გაცემის წესის შესახებ“ (სსრ კავშირის კანონთა კრებული, 1936 წ. № 59, მუხლი 448);

გ) მუხლი 14 სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს, 1938 წლის 28 დეკემბრის დადგენილებისა „შრომის დისციპლინის მოწესრიგების, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის პრაქტიკის გაუმჯობესების და ამ საქმეში ბოროტმოქმედებასთან ბრძოლის შესახებ“ (სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებათა კრებული, 1939 წ. № 1, მუხლი 1).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

* მოსკოვი, კრემლი. 1944 წლის 8 ივლისი.

ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რსფსრ სახალხო კომისართა საბჭო მხურვალე სალამს უძღვნიან ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიის ოცი წლისთავის დღეს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩრდილოეთ ოსეთმა, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით დიდ წარმატებებს მიაღწია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

ჩრდილოეთ ოსეთში სტალინური ხუთწლედების პერიოდში აგებულია საკავშირო მნიშვნელობის მთელი რიგი დიდი საწარმოები, რეკონსტრუირებულია ათობით ფაბრიკა-ქარხნები, შექმნილია მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობა. ოსეთში დიდად გაიზარდა მოსახლეობის წერა-კითხვის ცოდნა, შემოღებულია საკუთარი დამწერლობა, აყვავდა ოსი ხალხის კულტურა—ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური.

დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ჩრდილოეთ ოსეთის ხალხის შვილები—წითელი არმიის ოფიცრები და მებრძოლები მამაცურად იბრძვიან სსრ კავშირში შემოჭრილ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ჩრდილოეთ ოსეთის ხალხი თავდადებულად შრომობს საკოლმეურნეო მინდვრებზე და საწარმოებში, ფაშისტი დამპყრობლების მიერ რესპუბლიკის დანგრეული მეურნეობის აღდგენის სამუშაოებზე, რითაც ეხმარება წითელ არმიას გაანადგუროს და საბჭოთა მიწა-წყლიდან განდევნოს ჰიტლერელთა ურდოები.

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რსფსრ სახალხო კომისართა საბჭო მტკიცე რწმენას გამოსთქვამენ, რომ ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელნი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად კვლავაც დაუღალავად განამტკიცებენ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებას და დაეხმარებიან წითელ არმიას გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების უსწრაფეს და საბოლოო განადგურებაში.

გაუმარჯოს ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

რსფსრ სახალხო კომისართა საბჭო

პარტიული ცხოვრება

ერთი მფს-ის პარტიული ორგანიზაცია

საგაზაფხულო სამუშაოთა ცხარე დღეებში ჩაშურის მტს-ი ზედიზედ იღებდა სიგნალებს: „ტრაქტორისტებმა ფხიკიანებმა მანქანა ვერ ამუშავეს“, „№ 6 სტზ-ს საკისარი გადაეწვა და ტრაქტორი დადგა“, „გულანს გაფუჭების ვამო ლომსაძის ტრაქტორი მინდვრად ვერ გადის, თესვა გვიშლება“.

ტრაქტორების მოცდენა ყველას აღელვებდა. მტს-ის მუშაკებმა საჭირო სათადარიგო ნაწილებს თავი მოიყარეს, ბრიგადებს უმალვე დახმარება აღმოუჩინეს და საერთო ძალით ტრაქტორები ამუშავეს. მაგრამ არ გასულა სამი დღეც და რამდენიმე ტრაქტორი ისევ მწყობრიდან გამოვიდა.

— საჭიროა შეკისწავლოთ მიზეზები, რატომ ფეხზდება ასე ხშირად ტრაქტორების მუშაობა და მივიღოთ გადამჭრელი ზომები,— წინადადება შემოიტანეს მტს-ის კომუნისტებმა.

ეს წინადადება განხორციელებულ იქნა. გამოირკვა, რომ მესამე, მეოთხე და მერვე სატრაქტორო ბრიგადებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მივიწყების შედეგად შრომის დისციპლინა დაეცა; ტრაქტორისტები მანქანებს არ უვლიან, მათი ექსპლუატაციის ტექნიკურ წესებს არღვევენ. ამიტომ იყო, რომ მალე ცვდებოდა ნაწილები და ხშირად დგებოდნენ ტრაქტორები.

პარტიულმა ორგანიზაციამ მტკიცედ მოჰკიდა ხელი სატრაქტორო ბრიგადებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლას. პარტიიდან გაიარეს ბრიგადებში, ამოწმებდნენ და კონკრეტულ დახმარებას უწევდნენ აგიტატორებს. ამან ჯერი შედეგი მოგვცა. ბრიგადებში გაჩაღდა საგაგიტაციო-მასობრივი მუშაობა. აგიტატორები შესვენების სათებში აცნობდნენ ტრაქტორისტებს წითელი არმიის გმირულ წარმატებებს, უკითხავდნენ უცხოეთის ამბებს. საბჭოთა ადამიანების გმირული ბრძოლისა და შრომის ამბები აღაფრთოვანებდნენ ტრაქტორისტებს თავდადებული მუშაობისათვის. 2 მაისს აგიტატორმა ამხ. გ. ხაჩიძემ პირველ ბრიგადას წაუკითხა უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანება. ბელადის ბრძანების პასუხად ამ დღეს ბრიგადამ დღიური დავალება 200 პროცენტით შეასრულა. ტრაქტორისტებმა ამხ. ი. ლომძიეს და ს. ქალიაშვილმა სამ-სამი ნორმა გამოამუშავეს. ბრიგადამ ამ დღეს ნაკისრი ვალდებულებაც გაანაღდა და თესვა 10 მაისისათვის დამთავრა.

აგიტატორები აქტიურად მონაწილეობდნენ საველე გაზეთების გამოშვებაში. მესამე სატრაქტორო ბრიგადის აგიტატორმა ამხ. ა. სარალიძემ გაზეთის პირველ ნომერში გააშუქა როგორ მუშაობენ ტრაქტორისტები დღის განმავლობაში და მკაცრად გააკრიტიკა ზოგიერთი დაუდევარი ტრაქტორისტი. წერილში განიხილეს ბრიგადის წევრთა საწარმოო თათბირებზე; ამის შემდეგ ჩამორჩენილმა ტრაქტორისტებმა ამხ. ა. აკოფოვმა და ნ. ეროჩაშვილმა ბეჯითად იწყეს მუშაობა, დისციპლინა განმტკიცდა და ბრიგადა მალე მოწინავეთა რიგებში ჩადგა. საგაზაფხულო სამუშაოების გეგმა ბრიგადამ 108 პროცენტით შეასრულა და 357 კილოგრამი საწყავი დაზოგა.

ამავამად ხაშურის მტს-ის კოლექტივის საბრძოლო ამოცანას მოსავლის უდანაკარგოდ აღება შეადგენს. თესვა ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო და პარტიულმა ორგანიზაციამ ღია კრებაზე განიხილა კომბაინების რემონტის მიმდინარეობის საკითხი. მინდვრის ხომალდების რემონტი ჭიანურდებოდა იმის გამო, რომ კომბაინერები თესვაზე მუშაობდნენ. კომუნისტებმა წამოაყენეს შრომის ორგანიზაციის ახალი გეგმა, რომელიც თესვაზე მომუშავე ბრიგადიდან 2-3 კომბაინერ-ტრაქტორისტის განთავისუფლების საშუალებას იძლეოდა. პარტიული კრების ამ ღონისძიების გატარებამ დაიჭერა კომბაინების და სალეწი მანქანების რემონტი.

მტს-ის პარტიული ორგანიზაცია ყოველდღიურად ზრუნავს პარტიის რიგების ზრდისათვის. წელს პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებულ იქნა 8 მოწინავე ადამიანი, ხოლო პარტიის წევრად—2 კანდიდატი. ახალმიღებულთა შორის არიან მოწინავე ტრაქტორისტები მედალსანი შ. მოსიაშვილი, დ. ნოზაძე, ვ. ქალაშვილი, აგრონომი გ. ტეფნაძე, ალმრიცხველი შ. კუპაძე და სხვ. ახალგაზრდა კომუნისტები სწავლობენ საკავშირო კ. პ. (ბ) წესდებას და პროგრამას.

მტს-ის პარტორგანიზაციამ მსურველთათვის შეჰქმნა წრე, რომელშიც 22 კაცმა შეისწავლა ამხანაგ სტალინის წიგნი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“. პარტიული ორგანიზაცია კონკრეტულ დახმარებას უწევს „მოკლე კურსის“ შესწავლაზე დამოუკიდებლად მომუშავეებს; მათთვის მტს-ში სისტემატურად ეწყობა ლექციები და კონსულტაციები.

რაიონში ამჟამად შაქრის ჭარხლის კულტივაცია მიმდინარეობს. მდგომარეობა დამაფიქრებელია, ვინაიდან ზოგიერთი ტრაქტორისტი რაიდენიმეჯერ მაჩვენებელს გამოედევნა და დამუშავების ხარისხი გაუარესდა.

ხაშურის მტს-ის კომუნისტების მოვალეობაა დაეხმარონ დირექციას კარგად მოაწყოს კულტივაციის სამუშაოები ყველა ბრიგადაში, რომ შაქრის ჭარხლის პლანტაციები სანმეშოდ იყოს მოვლილი და დამუშავებულ.

ა. სოხაძე

გურჯაანის მტს-ის აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ამხ. ნ. თელია უკითხავს გაზეთს მე-11 სატრაქტორო ბრიგადის წევრებს.

ფოტო რ. აკოფოვისა

მოვაწესრიგოთ კომბაინების და სალეწების მუშაობა

მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღების საქმეში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ მტს-ების დირექტორებს, ინჟინერ-მექანიზატორებს, აგრონომებს, ბრიგადირებს, კომბაინერებს, ტრაქტორისტებს და სახელოსნოს სპეციალისტებს. ცოტა როდია ისეთი მტს-ი, სადაც შრომის სწორი ორგანიზაციით, ადგილობრივი რესურსების გამოყენებით და მანქანების ნორმალური მოვლა-პატრონობით მიაღწიეს კარგ პაჩვენებლებს. ხაშურის მტს-მა შარშან მოსავლის აღების გეგმა 112,5 პროცენტით შეასრულა, ყარაიის მტს-მა — 123, ზორჩალოს მტს-მა — 124, ავარის მტს-მა — 100 პროცენტით. ამ მტს-ებს ამჟამად უკვე შეკეთებული აქვთ ყველა კომბაინი და სალეწი მანქანა, ყოველმხრივ მზად არიან მოსავლის წარმატებით აღებისათვის.

მაგრამ ყველა მტს-ში დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა არ არის. შინდისის მტს-ს, რომელსაც შარშან მოსავლის აღების გეგმა 54 პროცენტზე მეტად არ შეუსრულებია, წელსაც კომბაინები მთლიანად არ შეუკეთებია და, რაც შეეხება, ისიც მთლიანად უხარისხოა, მათი სამუშაოზე გაყვანა შეუძლებელია. კომბაინების შეკეთებაში ჩამორჩენილი არიან აგრეთვე ქსუისის, ახალსოფლის, ასურეთის, გურჯაანის, ყვარლის, თელეთის და სართიჭალის მტს-ები.

სტახანოველთა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თუ კომბაინის აგრეგატზე მომუშავენი დაინტერესებული არიან კომბაინის და ტრაქტორის ყოველმხრივ შესწავლით, ხარისხიანი შეკეთებით, მისი მატერიალური ნაწილების მუშაობის პროცესში წარმოშობილ შეფერხებათა დროულად გამოსწორებით, ტექნიკური მოვლის წესების ზუსტად დაცვით, მცირდება დანაკარგები, კომბაინის ნაყოფიერება მაღალ მაჩვენებლებს აღწევს. წნორის მტს-ის კომბაინერმა შ. ნაცვლიშვილმა სამამულო ომის პერიოდში მუშაობა გაასამეცადა და თავისი გამოცდილება გაუზიარა მტს-ის სხვა კომბაინერებსა და ტრაქტორისტებს. შარშან მან ყოველდღიური გამომუშავება ნაცვლად 8 ჰექტარისა, აიყვანა 22 ჰექტარამდე. ასეთსავე მაჩვენებლებს მიაღწიეს ულიანოვკის მტს-ის კომბაინერებმა ი. ბეგიაშვილმა, ა. პიღინომ, ა. მოსაშვილმა და მ. ხახტაძემ. მაგრამ მტს-ებში იყვნენ ისეთი კომბაინერები, რომლებიც ნაკლებად ზრუნავდნენ მანქანების ხარისხიანად შეკეთებაზე და ამის შედეგად გამომუშავებაც დაბალი ჰქონდათ. მსგავსი მდგომარეობა წელს არ უნდა განმეორდეს.

დანაკარგების თავიდან ასაცილებლად საჭიროა აგრეგატზე მომუშავე კომბაინერმა, მესაჭემ, ტრაქტორისტმა და ბრიგადირმა მუშაობას პერიოდში კომბაინის მოძრაკი ნაწილები სისტემატურად დათვალიერონ, შეაკეთონ ის ადგილები, საიდანაც ხდება გაულეწავი თავთავებისა და გალეწილი მარცვლის ჩაცვენა.

კომბაინების რემონტის დროს ზოგ მტს-ში მეორეხარისხოვან სამუშაოდ მიაჩნიათ საჭირო ნაწილის შეკეთება, ტარაბუას მიერ გატეხილი თავთავების დასაჭერად დამატებითი დიფების მოწყობა, მარცვლისმჭერის წესრიგში მოყვანა და დაყენება, ამბიდი ელევატორების გარეშის კეთილსაღსა და დოლის განლაგების მიდამოებში დაზიანებული ნაწილების შეკეთება. კომბაინერები ხშირ შემთხვევაში კომბაინზე არ ეწევიან დოლისა და დეკას ვენტილატორის ფარების, აგრეთვე ბირველადი წმენდის ცხავის სწორ რეგულაციას. ამ მიზეზებს შეუძლია გამოიწვიოს დიდი დანაკარგები.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 18 ივლისის დადგენილებით სასტიკად აკრძალულია ხორბლის მაღლად ანუ ზერელედ აღება. დაბალტანიანი და ჩაშოლილი ხორბლის ასაღებად კომბაინის ბედერებს უნდა გავუკეთოთ სპეციალური მოწყობილობა. ხორბლის აღებისთანავე უნდა ავკიროფოთ თავთავი. გარდა ამისა, გალეწილი მარცვალი კალოებზე 10 დღეზე მეტხანს არ უნდა დავტოვოთ. მარცვლეულის დროზე გადაზიდვისათვის მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ რაიონში არსებული მთელი ცოცხალი გამწეები ძალა და ავტომანქანები, დაუშვებელია ძნებად დადგმული პურეულის მინდვრად დატოვება. ძნა მიტანილი უნდა იქნას სალეწ მანქანასთან. იმ ადგილებში, სადაც სალეწი მანქანა ოდგმება, საჭიროა 5 დღით ადრე მოვაწყოთ კალოები. ძნის შეგროვების შემდეგ უნდა ჩავატაროთ ფოცქებით და ხელით თავთავების შეგროვება, სალეწებთან დადგმული ძნის წვიმისაგან დაზიანების თავიდან ასაცილებლად მას წინასწარ დავუფინოთ ქვეშ თივა ან ნამგა, ზეიდან კი ისე გადავხუროთ, რომ წყალი არ ჩაუვიდეს. სალეწი მანქანების შეუკეთებლობისა და დაუტვირთაობის გამო შარშან შინდისის მტს-მა ლეწვის გეგმა მხოლოდ 1 პროცენტით შეასრულა, სართიჭალისამ — 11 პროცენტით, ქსუისისამ — 30 პროცენტით. წელს ყველა სამუალება უნდა გამოვიყენოთ გეგმების წარმატებით შესასრულებლად.

მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღების ძირითადი პირობაა შრომის სწორი ორგანიზაცია. მტს-ებში უნდა უზრუნველყოთ საწვავ-საცხები მასალების თავის დროზე მიმარაგება, მოძრავი სახელოსნოების მოწყობა, კომბაინერებზე მომუშავეთა კადრების სწორად შერჩევა, მოსავლის აღების გეგმის გრაფიკის თვითეული კომბაინერისა და კოლმეურნეობის წევრისათვის გაცნობა.

პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, სამეწარმოქმედო ორგანოებმა, მტს-ებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა მთელი მუშაობა ისე უნდა წარმართონ, რომ დროულად და უდანაკარგოდ აიღონ უზარმაზარი სამეურნეო-ეკონომიური ფასეულობა.

ლ. კოპალიანი

საქართველოს ს. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა

(ტრუსტ „საჩაის“ 5 ივლისის ცნობებით)

რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტებით	ივლისის გეგმის შესრულება წინა თვეების დაბალი ნაყოფიერების ჩათვლით პროცენტებით	რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტებით	ივლისის გეგმის შესრულება წინა თვეების დაბალი ნაყოფიერების ჩათვლით პროცენტებით
ბათუმი	40,8	2,8	ქუთაისი	43,4	0,3
ქობულეთი	40,3	4,1	წყალტუბო	50,4	1,9
გალი	39,3	0,7	ტყიბული	50,0	6,0
ოჩამჩირე	37,1	1,6	ცხაკაია	42,9	0,9
გულრიფში	79,7	17,5	აბაშა	43,3	—
სოხუმი	100,0	—	გეგეჭკორი	39,9	1,3
გუდაუთი	50,4	10,7	ზუგდიდი	43,2	8,6
მახარაძე	40,4	2,8	წალენჯიხა	46,3	7,4
ჩოხატაური	41,9	9,4	ჩაურიწყუ	42,9	—
ლანჩხუთი	35,0	2,7	ხობი	41,3	—
სამტრედია	42,1	9,4	ჩხარი	48,7	14,3
წულუკიძე	42,9	1,9	ზესტაფონი	20,5	2,5

ბობოყვათის (ქობულეთის რაიონი), აჩიგვარის (გალისა და ოჩამჩირის რაიონები), შრომის, მაღალი ეწრისა და ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (მახარაძის რაიონი), სუფსის (ლანჩხუთის რაიონი), ნარეზენის (ზუგდიდის რაიონი), ჩხოროწყუს (ჩხოროწყუს რაიონი) ჩაის ფაბრიკების და ხობის რაიონის ცნობები 1 ივლისისაა.

საბჭოთა კავშირში

სამეცნიერო წოდებანი—ნავთის მძიებლებს

მოსკოვი, 8 ივლისი (საკდესი). სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის დოცენტი ამხ. კაჭარავა დაახლოებით 20 წელია სწავლობს საქართველოს სს რესპუბლიკის წიაღს, ამასთან განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ნავთის ახალადმოჩენილ საბადოებს. ამჟამად მეცნიერმა დამამთავრა ნაშრომი, რომელიც მიძღვნილია რაჭა-ლეჩხუმის ბასეინისა და მისი მომიჯნავე რაიონების გეოლოგიური აღნაგობის გამოკვლევისადმი. დიდ თეორიულ და პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენენ დასკვნები ნალექი ქანებისა და ამ ქანებში არსებული მთამოდნეული წარმოშობის პირობების შესახებ.

ავტორმა პირველად დაამუშავა მიწისქვეშა ნალექთა სქემა და განსაზღვრა ნავთის ბუდეების შემდგომ ძიებათა მიმართულება. სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ ამხ. კაჭარავას მიანიჭა გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და პროფესორის წოდება.

ნავთის ახალი საბადოების შესახებ ორმოცდათი სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნა მეორე მეცნიერმა — აზიზბეკოვის სახელობის აზერბაიჯანის ინდუსტრიული ინსტიტუტის პროფესორმა — ამხ. აბრესოვმა. მან აღმოაჩინა ნავთის წყაროების რაციონალური ექსპლოატაციის ახალი მეთოდები, რასაც წარმატებით იყენებენ მრავალ საწარმოში. უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიანიჭა ამხ. აბრესოვს.

ნავთის საბადოების საძიებელი ელექტროთერმომეზრი

ბაქო, 8 ივლისი (საკდესი). ახალგაზრდა აზერბაიჯანელმა გეოლოგმა მეხტიევმა, რომელიც ჭაბურღილებში სხვადასხვა სიღრმეზე წიაღის ტემპერატურას ზომავდა, ელექტროთერმომეტრის საშუალებით გამოარკვია, რომ ნავთის შრეებს უფრო მაღალი ტემპერატურა აქვთ, ვიდრე მათ გარშემო მდებარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სევასტოპოლისათვის იბრძოდნენ

ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაზე ვარსკვლავები,
ვინ შეაპკოს ლარსეულად
ქართველ გმირთა მხარ-მკლავები

აკაკი

1.

მათ ახსოვდათ ყველაფერი.

ახსოვდათ ციცხლში დამწვარი ვაჟკაცი გრიგოლ სულუხია. იგი დიდხანს აწამეს ბნელეთის მოციქულებმა, სახსრები დაუმტვრიეს, მკერდზე ვარსკვლავი ამოუკრეს, მაგრამ ქართველ მამულიშვილს ისეთი ვერაფერი ათქმევინეს, რაც შებღალავდა საბჭოთა მეომრის სახელს.

გაბოროტებულმა ფაშისტებმა ჩალის კოკონი შეუნთეს წამებისაგან ხორცდაფლეთილ ქართველს, — დასწვეს მისი სხეული, მისი ლამაზი თვალები, მისი ვაჟკაცური გული, მაგრამ განა ციცხლი ყველაფერს მოერევა!

ვერა და ვერ დასწვეს სტალინის დროშაზე დაფიცებული მებრძოლის გმირული სული. იგი გაეყარა ფერფლად ქცეულ სულუხიას, რომ ცოცხლად დარჩენილებს შემატებოდა, როგორც მუდმივი მხნეობა, როგორც მოსისხლე ვტერზე შურისძიების წყურვილი.

მათ ახსოვდათ მაიორ დევი ნიკარაძის დიდებული ბრძოლა და სიკვდილი. ორი ათასი ჰიტლერელი გამოასალმა წუთისოფელს ნიკარაძის ქვეგანაყოფმა. დიდძალი მაშველი ჯარი ვოაყარა მტერმა ქართველთა რიგებს და მათი გარემოცვა მოახერხა. რამდენჯერმე გამოარღვიეს რკალი საბჭოთა ვებრძოლებმა, რომ ისევ პირისპირ შებმოდნენ ყოველი მხრიდან მოძალებულ შავსვასტიკიან ტანკებს, ზედიზედ მომავალ გერმანელთა ბატალიონებს.

ამ ბრძოლაში დევი მძიმედ დაიჭრა.

იგი დაეცა, მაგრამ უმალვე წამოდგა... მუხლებზე წამოდგა და ისე იბრძოდა დაჭრილი ლომკაცი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

მათ ახსოვდათ, როგორ აიხვევდნენ მიწას ტანკსაწინააღმდეგო თხრილში ციცხლად დამარხული ქალები და ბავშვები. შვიდი ათასი საბჭოთა ადამიანი დახვრიტეს მაშინ ჰიტლერელმა კაცისმკვლელებმა.

ბევრი მათგანი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და მათი საფლავის მიწაც დიდხანს მოძრაობდა, ფუთფუთებდა, სუნთქავდა, თითქოს ისიც ცოცხალი იყო.

მათ ახსოვდათ ყველაფერი, ახსოვდათ ისინი, რომლებიც მაშინ, მაისში, გმირულად დაეცნენ ქერჩის ნახევარკუნძულზე.

ეს იყო 1942 წელს.

და აი, ახლა, როდესაც ქართველმა მხედრებმა მეორედ შედგეს ფეხი ყირიმის ომგადახდილ მიწაზე, შურისძიების გრძნობა, როგორც დროშა, წინ გაუძღვა საქართველოს სახელოვან შვილებს.

მოვიდნენ ისინი და თან მოიტანეს ქართველი დედების სიძულვილი, მთელი საბჭოთა ხალხის სიძულვილი ჩვენი ქვეყნის დაუძინებელი მტრისადმი.

ისინი მოვიდნენ ყირიმში, რომ მტერთან ძველი ანგარიში გაესწორებინათ.

ყოველ მათგანს გერმანელის ჯავრი სჭირდა, და ამ ჯავრმა საქართველოს მდინარეების ძალა და სისწრაფე მისცა ყოველ მათ იერიშს, ყოველ მათ კამარას.

ქერჩის მთაგორებზე გაჩაღებულ ბრძოლებში საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მოიპოვა სულუხიას თანასოფელელმა ვლადიმერ ესებუამ.

სამშობლო ომის მომავალი ყამთააღმწერელი დიდების გვირგვინს დაუწნავს იმ ლომგულ ვაჟკაცებს, რომლებიც ქერჩის ნახევარკუნძულზე ჩვენი მეორე დესანტის მონაწილენი იყვნენ.

ათი აპრილის ღამე იყო, როდესაც ოფიცერ იოსებ გორგიშვილის ქვეგანაყოფს სარდლობამ უბრძანა ხელში ჩაეგდო ორი მაღლობი, რომლებიც გერმანელთა თავდაცვის სისტემაში მეტად მნიშვნელოვან ზღუდეს წარმოადგენდნენ.

გორგიშვილი სწრაფად და ეოულოდნელად შემოადგა მაღლობებს. მისი მამაცი მეომრები, ერთპირად და ერთხორცად ქცეულნი,—ფეხზე ამდგარნი მოსსლტნენ საიერიშოდ და, სანამ რკინა-ბეტონში ჩამჯდარი მტერი გონს ეოვიდოდა, ქართველები უკვე მათი ტრანშეების თავზე აღიმართნენ.

ყველაზე ადრე გრამიტონ აბაიშვილის ოცეული შეიჭრა მაღლობზე.

აბაიშვილმა კარგად იცოდა, რა ფასი ჰქონდა ყოველი იერიშის მასულდგმულებელ ძალას — მოულოდნელობას.

იერიშის დაწყებამდე მისი ოცეული, სულ რაღაც რამდენიმე ათეული ნაბიჯით იყო დაშორებული მტრისაგან. მიუხედავად ამისა, აბაიშვილმა ყველაფერი იღონა, რომ მტერს სულის მოთქმაც ვერ მოესწრო, სანამ ჩვენები ხელჩართული ბრძოლის მანძილზე არ დაუახლოვდებოდნენ გერმანელებს.

აბაიშვილი ამასაც აღარ დასჯერდა.

სამი მებრძოლი — ზაქარიაძე, ჩიბურდანიძე და რუხაია დაზვერვაზე გაგზავნა, რათა გამოერკვია, იცოდა თუ არა მისი ოცეულის წინ განლაგებულმა მტერმა, რომ ჩვენები იერიშის თადარიგს იჭერდნენ.

გაბედულმა მზვერავებმა ბეჯითად შეამოწმეს გერმანელთა თავდაცვის წინა კიდე. საეჭვო ვერაფერი შენიშნეს. ყველაფერზე ეტყობოდა, რომ მტერი გულდამშვიდებული იყო...

და აბაიშვილის ოცეულიც ჯიქურ მიუხტა გერმანელებს.

სერჟანტმა რაჟდენ ბოხუამ შვიდი ფაშისტი ზედიზედ დააკლა ერთმანეთს. სამი ჰიტლერელი თეოდოტ ვაშაყმაძემ დასცა...

დამფრთხალმა გერმანელებმა მეორე წყების სანგრებში სცადეს ფეხის მოკიდება, მაგრამ ვაშაყმაძის ხელის ტყვიამფრქვევმა აქაც მონახა ისინი, და კიდევ თერთმეტი ფაშისტის ფეხის ხმა სამუდამოდ შეწყდა ქერჩის მიწაზე.

ჩვენები უკვე მესამე ტრანშეას უახლოვდებოდნენ, რომ უეცრად მარცხენა ფლანგზე ენა ამოიდგა გერმანელთა დაზგის ტყვიამფრქვევმა სულმოუთქმელად ისროდა, გზას უღობავდა მოიერიშე ოცეულს.

ტყვიამფრქვევის ზარდაპერით გამხნევებულმა მტერმა ხელი ჩასჭიდა უკანასკნელ ტრანშეას და წინააღმდეგობა გაძლიერა.

აბაიშვილმა ორი გამოცდილი გრანატმტყორცნელი შეარჩია და მყისვე გვერდზე მოექცა გერმანელთა საცეცხლე ბუდეს.

ოცდახუთ მეტრზე მიხოდა სამი ქართველი იმ სახიფათო ტყვიამფრქვევთან.

გრანატების ტყორცნა აქედანაც შეიძლებოდა, მაგრამ აბაიშვილს ნაღდი საქმე უყვარდა.

ახლა იგი უეცველზე მიდიოდა, რადგან საბრძოლო ვითარება ისეთი იყო, რომ არამცთუ ალალბედობა,—ხელის ერთი მოუზომელი მოქნევაც ძვირად დაუჯდებოდათ მესამე ტრანშეისკენ მიმავალ მებრძოლებს.

გერმანელთა ტყვიამფრქვევი პირველსავე გრანატებს უნდა ჩაეჩუმებინა.

აბაიშვილმა ისევ განაგრძო წინსვლა, და როდესაც საბჭოთა მებრძოლებსა და ფაშისტებს შორის იმდენი მანძილი დარჩა, რომ მხოლოდ საკვდილს შეეძლო მათი გაშორება, სამმა ნაცადმა მარჯვენამ სამი გრანატი ერთად ჩაუშვა ფრიცების ბუნაგში.

და მტრის კაცმა და რკინამ ასევე ერთად შესწყვიტა სიცოცხლე.

აბაიშვილი ისევ შეუერთდა თავის ოცეულს და მალე მესამე ტრანშეაშიც არც ერთი ცოცხალი გერმანელი აღარ იყო.

არაერთხელ ისახელა თავი გრამიტონ აბაიშვილმა ყირიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

ერთხელ გათენებისას გერმანელმა სნაიპერმა ჭიმიდ დასჭრა მეთვალყურე ონიაშვილი.

აბაიშვილი დილიდან საღამოამდე თვალმოუშორებლად უდარაჯებდა ამ სნაიპერს. მაგრამ მტერიც ფრთხილობდა. იგი ელოდა ჩვენი რომელიმე მებრძოლის გამოჩენას, რაიმე გაუფრთხილებელ მოძრაობას.

ოცეული კარგად იყო ჩასაფრებული, ამიტომ სნაიპერიც ყუჩად იყო, და რამდენიც არ უტრიალა აბაიშვილმა, მისი ჩასაფრების ადგილი ვერ გამოიცნო.

უკვე ბინდდებოდა.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

მაშინ აბაიშვილმა მუზარადი ფრთხილად შეაცურა სანგრის თავზე და თვითონ მარჯვე კუთხე გამოძებნა თვალყურის საგდებლად.

არ გასულა დიდიხანი, რომ გახვრეტილი მუზარადი სანგარში ჩამოგორდა... და იმავ წუთში აბაიშვილის თოფიც გავარდა.

მუზარადზე მორტყმული ტყვია გერმანელი სნაიპერის უკანასკნელი გასროლა იყო.

• • •

გორგიშვილის ქვეგანაყოფში კარგად იცნობენ ლეიტენანტ შიო სისაურს.

წარმოსადეგი, ბეჭებში ლაღად გაშლილი დუშეთელი ვაჟკაცის პირად ანგარიშზე არა ერთი და ორი მოკლული ჰიტლერელი ითვლება.

ხელი არ მოეცარება ამ უშიშარ მეომარს, რაგინდ საძნელო საქმე შეხვდეს.

იმ ღამეს მისი ოცეული, როგორც მოხეთქილი ტალღა, გადაეფარა გერმანელთა ტრანშეას. პირველად ხუთი ფაშისტი ამოვარდა სიფრიდან. როგორც ყოველთვის, როდესაც საბჭოთა მებრძოლები ხელჩართულ ბრძოლას იწყებენ, გერმანელები ახლაც მარდები აღმოჩნდნენ გაქცევაზე, მაგრამ სისაურის ავტომატმა ხუთივე ოცელა.

მალე დანარჩენნიც გატყდნენ და ტრანშეიდან ამოცვივდნენ. სერჟანტმა შალვა გოლუამ თვალის დახამხამებაში ერთი გერმანელი ხანჯალზე წამოიგო, მეორეს გრანატი სტყორცნა და ბარის ასაფხეკად გაქადა.

ნიკიფორე ჯაკავიძემ ბლინდაჟში მოუსწრო ფაშისტებს. მარჯვედ ნასროლმა გრანატმა ბლინდაჟი სამარად აქცია მათთვის.

გათენებისას ქართველი მებრძოლები უკუქცეულ გერმანელებს დაედევნენ.

სოფლის განაპირას სერგო ჩხაიძემ გერმანელი ოფიცერი და რამდენიმე ჯარისკაცი შენიშნა.

ისინი მანქანასთან იდგნენ და მოუთმენლად ელოდნენ, როდის მოაწესრიგებდა შოფერი უეცრად შეფერხებულ მოტორს.

სერგო ჩხაიძემ მაშინვე გამართა ნადავლი ტყვიამფრქვევი.

რამდენიმე გასროლა — და მანქანის მგზავრებს სამუდამოდ მოაკლდა ოფიცერი და სამი ჯარისკაცი.

საინტერესოა სერგო ჩხაიძის ტყვიამფრქვევის ამბავი.

ერთხელ ხევში ჩასაფრებულმა ჩხაიძემ თვალი მოატანა, რომ საბრძოლო დაცვაში გამოსული გერმანელები სწრაფად აკეთებდნენ საცეცხლე მიწურს ჩვენთვის სახიფათო უბანზე.

გულუბავარმა მეომარმა მყისვე გადასწყვიტა—სანამ მტერი გამაგრებას მოასწრებდა, მანამდე დასცემოდა საბრძოლო დაცვას.

ჩხაიძემ ლეიტენანტ სისაურს გაუზიარა თავისი განზრახვა.

მეგობრებმა მოითათბირეს. ისინი ერთად წავიდნენ სარისკო საქმეზე. იცოდნენ, რა ხიფათშიც მიდიოდნენ, მაგრამ ისიც იცოდნენ, რომ წაუსვლელობა უარეს ხიფათს უქადდა მთელ ოცეულს.

გრანატები და ავტომატები მოიმარჯვეს და ფრინველივით ამოცურდნენ სანგრიდან.

მიწაზე თითქოს კაცები კი არა, ლანდები იწვნინო, ისე უხმოდ მიუახლოვდნენ ახლად გათხრილ მიწურს...

ხუთიდან მხოლოდ ერთმა ფაშისტმა მოასწრო გაქცევა.

სისაურმა და ჩხაიძემ ხელთ იგდეს დაზგის ტყვიამფრქვევი, ოთხი თოფი და უვნებლად დაბრუნდნენ თავისიანებთან.

2.

ასე იბრძოდნენ ქართველები რუსთა მხედრობის მხარდამხარ ქერჩის ქუჩებში და აკამონაის მთაგორებზე.

ისინი გამარჯვებული გამოვიდნენ ამ ბრძოლიდან.

ხევში თუ ზეგანზე, გზაზე თუ გზის გადაღმა უხვად ეყარა რკინა-თოლიადის დამწვარი ჩონჩხები.

ბევრნი ისინი ცოცხლები იყვნენ და ზოგს „მესერი“ ერქვა, ზოგს „ფერდინანდი“, ზოგსაც „ვეფხვი“ და „ოვაზა“.

ახლა სიკვდილმა მონათლა ისინი.

ამ ჩონჩხების სასაფლაოზე დაუსრულებლად მოედინებოდნენ იარაღ-ახდილი, მზრებჩამოყრილი გერმანელები და რუმინელები.

მოდიოდნენ უკან, ქერჩისაკენ—მეოთხედ და უკანასკნელად.

განა ასე მოაბიჯებდნენ ისინი ოდესღაც ამ გზაზე!

1944 წლის გაზაფხულმა ვერ ოგაზაფხულა ზათთვის.

მტერი ცდილობდა განრიდებოდა, გაქცეოდა ჩვენი ჯარების ავანგარდს.

საბჭოთა მებრძოლი დღე და ღამეში სამოც კილომეტრს გადიოდა, რომ მისი თოფის ლულას ცოცხალი გერმანელი ვერსად წასვლოდა.

ხანდახან მთელი საჭურველი და საგზალი თვითონვე მიჰქონდა მდევარს, რომ უფრო სწრაფი და მოქნილი ყოფილიყო მისი დევნა და მანევრირება.

თუ როგორ დაუღალავად ისწრაფოდნენ ჩვენი მეომრები, კარგად დაგვისურათა გენერალმა ძაბახიძემ:

— ერთხელ ჩანთები გავუსინჯე რომელიღაც მებრძოლს... ძალიან მსუბუქად მიაბიჯებდა, თითქოს გუშინ სამოცი კილომეტრი კი არა, სამოცი ნაბიჯიც არ გადაუდგამს! საეჭვოდ მეჩვენა: ვიფიქრე, იქნებ, ღმერთი გაუწყრა და გზაში ტვირთი ეოიკლო-მეთქი... და რა აღმოჩნდა! ჩანთაში, უბეში, ჯიბეში, სადაც კი რაიმეს ჩადება შეიძლებოდა, ყველგან ვაზნები ჩაეყარა. წარმოგიდგენიათ! რვაასი ვაზნა და სამოცი კილომეტრი დღე და ღამეში!

„საგზალი სადა გაქვს!“ — შევეკითხე.

„ამხანაგო გენერალო, — მიპასუხა მან: „ხვალამდე პურის დაკლება მე არაფერს დამაკლებს! ვაზნა რომ დამაკლდეს, არ ივარგებსო“...

ასე ფიქრობდა ყოველი ზღვისპირელი მხედარი და შეუპოვრად მიჰყვებოდა სევასტოპოლისაკენ მიმავალ გზას, რომ დიდების ქალაქი გერმანელთა ტყვეობიდან დაეხსნა.

მას ახლა ეძახდა სევასტოპოლი, ეძახდა მისი ნაწამები მიწა, მისი ხანძრების ფერფლი; ეძახდნენ საქართველოდან მოსული ტალღები.

ხაფანგში ჰომწყვდეული მტერი წელებზე ფეხს იდგამდა, რომ გზახსნილი ეპოვნა, მაგრამ მისი საშველი არ იყო, როგორც არ იქნება, რომ ნასროლი ტყვია ისევ თოფის ლულაში დაბრუნდეს.

3.

ხელმარჯვნივ, მაისის დილა-ბნელში ბუნდად მოსჩანდა საპუნ-გორას ტიტველი ქედი — გერმანელთა უმძლავრესი ციხე-სიმაგრე.

ქედის გადაღმა სევასტოპოლი იყო, ჩვენგან განუყრელი, როგორც საკუთარი გულისძგერა, როგორც დაუვიწყარი მოგონება მისი დამცველების ქვეყნად არნახული ვაჟკაცობისა და როგორც მაღელვებელი გახსენება, რომ ახლა გმირთა ქალაქის, არწივების საბუდარის დასახსნელად ისევე გულჯავრიანად გვებრძოლა, როგორც ამ საბუდარის დასაცავად საბჭოთა კავშირის გმირი კაპიტანი გეგეშიძე იბრძოდა. როგორც იბრძოდა ერთი ალალი რუსი კაცი, მეკავშირე დევიტიაროვი. იგი ისე გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე, რომ მისი სიკვდილი მისივე უკვდავება გახდა.

ქედს გადაღმა სევასტოპოლი იყო.

იგი მოუთმენლად ელოდა, როდის შეანთებდა ნაწამებ თვალებში სტალინის დროშა, როდის დასხდებოდნენ ნახანძრალ კედლებზე მისი დაბრუნებული არწივები და იტყოდნენ იმ ნაცრობ ზღვისპირულ სიმღერას, ურომლისოდ სევასტოპოლს არც შანამდე უცხოვრია და არც ახლა ეცხოვრებოდა.

და როდესაც შვიდი მაისის დილას იერიშის მაუწყებელი მაშხალა ცაში ავარდა, ბრძოლის ყიჟინამ ფრთები შეასხა სანგრებიდან ამოფრენილ მეომრებს.

ჰაერში ერთი განუწყვეტელი გუგუნი იდგა.

ქაცის ყური ცალკე გასროლას ვერ გამოარჩევდა.

გერმანელთა მძლავრი გამაგრებული თავდაცვა რკინა-ბეტონში იყო ჩამჯდარი და სამი ზოლისაგან შესდგებოდა.

თავდაცვის მთავარი ზღუდე ლიობიმოვკა-ბელბეკ-ინკერმანის ხეობა საპუნ-გორის ხაზზე გადიოდა.

ამ ზღუდის ფლანგები ზღვამდე აღწევდნენ, ხოლო მთელი ხაზი თავდაცვისათვის მეტად ხელსაყრელ მთიან ადგილებს გასდევდა.

საპუნ-გორის და უსახელო მაღლობების ფერდობები ზღვასთან, ბალაკლავის დასავლეთით, ძლიერ დაქანებულნი არიან, ალაგ-ალაგ მიუვალ ციცაბო კლდეებს წარმოადგენენ.

საპუნ-გორის მწვერვალიდან კარგად ეოსჩანდა და კონტროლი ეწეოდა ყველა მისადგომს, ცალკეულ უბნებზე ხილვადობა გერმანელთა მხრიდან 10-12 კილომეტრს აღწევდა ჩვენი ნაწილების განლაგების სიღრმეში.

ამავე დროს გერმანელთა ზურგი და მისაზიდი გზები თითქმის ყველგან იყო დაფარული ჩვენი თვალთვალისაგან.

შვიდი მაისის დილას გორგიშვილის ქვეგანაყოფმა მედგრად შეუტია გერმანელთა თავდაცვის ერთ-ერთ ზღუდეს საპუნ-გორის სამხრეთ-დასავლეთის კალთებზე.

ვერც უხვად დანაღმულმა მისადგომებმა, ვერც რკინისა და რკინა-ბეტონის სვეტებზე დგებულმა მავთულღობურებმა, ვერც კლდოვან მთაგანზე ჩაჭედილმა „დოტებმა“ და მოხერხებულად ჩასაფრებულმა პირველპირი დამიზნების ქვემეხებმა ვერ შეაჩერეს გორგიშვილის მებრძოლების ერთნებად შეკრული ნახტომი.

სამამული ომში გაწვრთნილმა ოფიცრებმა სერგო ჩხაიძემ, სავოჩკინმა, ჯიჯგიშვილმა ყველაფერი იღონეს და იანგარიშეს, რომ მოიერიშე მებრძოლს ბოლომდე გაჰყოლოდა იერიშის სიფიცხე და სიშმაგე.

მათმა მხედრულმა გამოცდილებამ უზრუნველყო იერიშის პირველი სალეტურის წარმატება: ჩვენი მეომრები ახლო ბრძოლის მანძილზე დაუახლოვდნენ გერმანელთა ტრანშეებს.

შოთა მარტინენკოს ოცეულმა პირველმა გადალახა დანაღმული უბანი და მავთულღობურები, გამაგრდა მოიწეული ზღუდეზე და ციცხლითი ბრძოლა გაუმართა მოპირდაპირეს.

მარტინენკოს გაბედულმა ნამიჯმა და იმ გარემოებამ, რომ მან თავისთავზე გადმოიტანა შემფოთებული ფაშისტების ყურადღება, დანარჩენ ოცეულებს გზა გაუხსნა მტრის თავდაცვის წინაკიდისაკენ.

მტერმა მხოლოდ მაშინ შენიშნა საფრთხე, როდესაც ჩვენები მავთულ-ღობურების მეორე წყებას მიადგნენ.

ახლა რამდენიმე ათეული ნაბიჯი აშორებდა მტერთან სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის შემართულ ქართველებს.

და მტერმაც მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა, რომ ეს საბედისწერო წუთი თავიდან აეცილებინა.

იგი ცდილობდა, ერთის მხრივ, შებოჭილი ჰყოლოდა მავთულ-ღობურებს გადმოღმა შემოჭრილი მარტინენკო, და მეორე მხრივ, გადამკვეთ ციცხლში მოექცია ფლანგებზე მოძალებული საბჭოთა მებრძოლები.

დადამებამდე გასტანა სისხლისმღვრელმა ბრძოლამ.

პირველ ხანებში მტერმა შესძლო ჩვენი იერიშის მოგერიება, მაგრამ შებინდდა თუ არა, ისევ დაიჭრა ახალი იერიშის ტალღა.

ღამის ხელჩართულ ბრძოლაში გერმანელთა თავდაცვა გასტეხეს და მუხლდაუსვენებლად განაგრძეს შეტევა, სანამ ჯიჯგიშვილის, ეფიმენკოს და ნიკოლეიშვილის მებრძოლებმა საპუნ-გორის სამხრეთ-დასავლეთის კალთები არ დაიკავეს.

ისინი აქ გამაგრდნენ, რადგან მოსალოდნელი იყო, რომ თავდაცვის პირველ ზღუდეზე დამარცხებული მტერი კონტრიერიშს მოიტანდა ხელიდან წასული სქემის გამოსასწორებლად.

გორგიშვილის ვარაუდი გამართლდა.

გერმანელებმა დიდძალი ქვემეხები და ნაღმსატყორცნები მოიშველეს და ეფიმენკოს ასეულს შემოადგნენ.

ეფიმენკოს მხარი დაუჭირეს ტანკებმა.

ისევ იფეთქა სასტიკი შეტაკების წუთმა.

სამი კონტრიერიშში ზედიზედ მოიტანეს გაბელებულმა გერმანელებმა, მაგრამ ჩვენი ქვეითებისა და ტანკების შეთანხმებულმა მოქმედებამ მაღე გადასჭრა მათი დარტყმის მთავარი ძარღვი.

გათაშეს, ერთმანეთს მოსწყვიტეს გერმანელთა ჯგუფები და უკუაქციეს.

ცხრა მაისს გორგიშვილის ქვეგანაყოფს სარდლობამ ამოცანად დაუსახა — გაეერღვია გერმანელთა თავდაცვის ერთ-ერთი ღობანი და სევასტოპოლის სამხრეთ-დასავლეთ რაიონში გასულიყო.

საბრძოლო ვითარება რთული და დაძაბული იყო, იგი არა მარტო გაბედულებას, — სწრაფი და მარჯვე გარემოვლითი ბანერის განხორციელებას მოითხოვდა ჩვენი მებრძოლებისაგან.

საგანგებოდ შერჩეულ მოიერიშე ჯგუფებს კაპიტანი ჯიჯგიშვილი და ლეიტენანტი ნიკოლეიშვილი გაუძღვნენ ამ უძნელეს საქმეზე.

მათმა გამჭრიახობამ, მხედრულმა უნარმა და შეუპოვრობამ თავისი გაიტანა.

როდესაც ჩვენმა დანარჩენმა ოცეულებმა ფრონტალური იერიში დაიწყეს, ჯიჯგიშვილმა და ნიკოლეიშვილმა მარჯვენიდან მოუარეს გერმანელებს.

საათნახევარს გაგრძელდა ბრძოლა ნახევარრკალში ეომწყვდეულ მტერთან.

სერჟანტი შოთა ბანძალაძე, პარტორგი შეყელაძე და მებრძოლი ამზერკა კორტანიძე ტანშეაში შეიჭრნენ და სასტიკად დარიეს ხელი ფაშისტებს.

კორტანიძე დაიჭრა. მან მაინც განაგრძო ბრძოლა, სანამ ტრანშეა მთლიანად არ დაიკავეს ჩვენებმა.

ასევე გაბედულად მიუხტნენ გერმანელებს ასეულის პარტორგი გრიგოლ ზგელაძე, მეავტომატე გიორგი მჭედლიძე, კარლო ლომაძე, იოანე ინასარიძე, ალექსანდრე ლომთათიძე, სახელოვანი მტყვიამფრქვევე ალექსანდრე ჯოგლიძე, უნარიანი მოიერიშე შალვა დვალიშვილი, რომლის ტყვიამფრქვევემ სამი ათეული ჰიტლერელი გაეტლტა ამ ხანმოკლე იერიშის განმავლობაში.

გერმანელთა თავდაცვის გარღვევის შემდეგ ჩვენებმა დაიკავეს სოფელი შესტაია ვერსტა და შეუჩერებლად განაგრძეს წინსვლა.

4.

ისინი იბრძოდნენ თერგის დათოვილ ქვიშარებში და ყუბანის დასაცხელ ლელიანებში.

იბრძოდნენ ქერჩის მთაგორებში მაშინ და ახლაც, როდესაც ჩვენი გამარჯვების გაზაფხულს ბუნების გაზაფხულიც ესალმებოდა.

მათთვის ნაცნობი იყო იერიშის წინაწუთების დაძაბულობა, ნაცნობი იყო ის პირველი წრეგადასული კამარა, როდესაც მთელი შენი არსება, შენი ყველაფერი მარტოოდენ სასწრაფედ იქცევა და მაინც გეჩვენება, რომ სანგრიდან ნელა ამოდიხარ, ნელა უახლოვდები აგერ იმ მოშამპულ ბოროტს, საიდანაც შენ ახლა გესვრიან და საიდანაც რამდენიმე წუთის შემდეგ ვერ უნდა გესროლონ.

შენ იცი, — ამ პირველმა კამარამ შენი კაცობა უნდა გამოსცადოს.

ამიტომ შენი ყოველი ფიქრის გაელვებას, ყოველ ნახტომს და გაშოხტვას, ძარღვის უბრალო შეტოკებას მხოლოდ ერთი გეში განაგებს: ბრძოლის გეში.

ყველაფერი ეს და ამაზე მეტი ბევრჯერ განიცადეს უფროსმა ლეიტენანტმა ახმედ ვარშანიძემ და ტანკის გამანადგურებელმა ჯაშიაშვილმა, ახალგაზრდა ოფიცერმა კირილე ესართიამ და მაროლელმა ნესტორ მეტრეველმა.

განიცადა ყველამ, ვინც გუშინდელი უკანდახევის სიმწარე დღეს იერიშის აღმფრენად შესცვალა.

ომი მათთვის ცხოვრება გახდა.

იერიშის მაუწყებელ მაშხალას ისინი ისევე მშვიდად, დაჩვეულად ხვდებოდნენ, როგორც მზის ამოსვლას.

სხვანაირად არც შეიძლებოდა. გერმანელის დამარცხება მხოლოდ გულმავალ მეომარს შეეძლო.

და თუ ახლა ისინი ოდნავ ღელავდნენ, — შენ მითხარი, მეგობარო, ვინ არ ღელავდა იმ კარგი მაისის დილას, როდესაც ჩვენი დაუძლეველი ლაშქარი სევასტოპოლის კორიბეკს შემოადგა.

სიხარული გვიღელვებდა ჩვენ, სიხარული, რომ წილად გვეკარგო გმირთა დედა-ალაგის განთავისუფლებისათვის გვებრძოლნა.

და თუ კიდევ მეორე გრძნობაც იმალებოდა მათი მღელვარე გულის კუნჭულში, — შენ მითხარი, მეგობარო, ვინ არ ფიქრობდა იმ კარგი მაისის დილას, რომ ახლა მისი ვაჟკაცობა სევასტოპოლის იმ დამცველთა ვაჟკაცობას გაეტოლებოდა, რომლებიც რვა თვე ფეხმოუცველელად იდგნენ ციცხლისა და ფოლადის ნიაღვარში!

...ახლა ისინი იერიშის უკანასკნელ თადარიგს იჭერდნენ.

კირილე ესართიამ უკვე შეარჩია პირველი ნახტომის გეზი.

მარჯვე მეთაურმა ზუსტად დაუნიშნა ყოველ მებრძოლს, სად ბოხვა იყო საჭირო, სად გადარბენა, ვიდრე გერმანელებს ხელჩართულ ბრძოლას გაუმართავდნენ.

გაბატონებული მაღლობი, მძლავრი და ჭრაველი საცეცხლე ბუდე, კარგად გამოთვლილი ბრძოლის ველი თითქოს მიუვალს ხდიდა გერმანელთა თავდაცვას...

მაგრამ წარბშეუხრელად მოსწყდნენ ქართველები საიერიშო ზღუდეს.

მტერმა სროლას მოუხშირა და ორპირად გავარტხნა მაღლობის კალთები. მერე პირდაპირი დამიზნების ქვემეხი გამოაგორა.

ქვემეხის დანახვაზე სწრაფად დაწინაურდა ტანკების გამანადგურებელი ჯაშიაშვილი.

ჯიქურ დაუხვედა მისი ნაცადი თოფი უეცარ ხიფათს.

ორად-ორი ესროლა ჯაშიაშვილმა ბაღლობზე გადმომდგარ ქვემეხს მეორე გასროლის შემდეგ ქვემეხი დადუმდა.

ჯაშიაშვილის დალოცვილმა ტყვიებმა თითქოს თავისი სისწრაფე და შეუპოვრობა გადასცეს მებრძოლებს.

ნეტარ მეტრეველი პირველი შეიჭრა მაღლობზე და ოთხი ფაშისტი ჯარისკაცი სიცოცხლეს გამოასალმა.

მიხეილ კეთილაძის და რეზო მორბედაძის თოფმა ხუთი გერმანელი კიდევ გამოაკლო ცოცხლების სათვალავს.

ამ ბრძოლაში გმირულად დაეცა კირილე ესართია, დაეცა იქ, სადაც მისმა ოცეულმა გაიმარჯვა: გერმანელთა ტრანშეის თავზე.

5.

თავდაპირველად მოიერიშე მეომრებმა გული ვერ იხვეს, რადგან დასტაცა ხელი ნაჯახს უფროსმა სერჟანტმა სერგო ჩხაიძემ ამ გაპარტახებულ სოფელზე გავლისას.

ქართველმა მებრძოლებმა იცოდნენ მათი გამოცდილი ათმეთური ჰიპარად არაფერს აკეთებდა.. მაგრამ რა გადასწყვიტა ახლა!

რატომ დასჭირდა ნაჯახი სწორედ მაშინ, როდესაც მტერმა ძლიერი გადამღობი ციცხლი შეაგება მოიერიშე ათეულს.

განა ნაჯახი გასჭრის ამ ციცხლის კედელს!

აგერ მეზობლები კიდევ ჩაწვნენ, შეპოსანგრავს შეუდგნენ! რატომ ისინიც არ გამაგრდებიან მიწეულ ზღუდეზე!

კითხვა-პასუხისათვის არავის ეცალა. არც ფიქრის დრო იყო.

ყოველ მებრძოლს წესად ჰქონდა: რასაც უფროსი სერჟანტი აკეთებდა, მასაც აგივე გაეკეთებინა. დანარჩენი შემდეგ გამოჩნდებოდა.

გრძელტარიანი ნაჯახები მათაც აკრიფეს და ჯაჰვურად გაიშალნენ.

ბრძოლის გამაყრუებელ ხმაურში მეომრები კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ უფროს სერჟანტს.

ისინი ხედავდნენ სოფლის გასადევართან ჩასანგრეულ მებრძოლებს, ხედავდნენ მზეზე აბრიალებულ ნიჩბებს...

და ხედავდნენ უფროს სერჟანტსაც, რომელიც ისე გაშმაგებული გადარბოდა ორმოდან ორმოში, ღარტაფიდან ღარტაფში, თითქოს ამ ფიცხი და უშიშარი გურულის ტანში მთელი ქვეყნის ქარი ჩაბუდებულაო.

იგი თითქოს ვერ აჩნევდა, როგორ ადუღებდა მიწას ნაღში და ყუმბარა, თითქოს არ ესმოდა ავტომატების გაბმული ჭახჭახი.

მან იცოდა, რასაც აკეთებდა.

უბრალო შემთხვევა იყო, თუ წინასწარი ვარაუდი, მტერმა სწორედ იმ გორაკის ფერდობი ამოიღო ნიშანში, საიდანაც ჩვენი მოიერიშე ჯგუფი უსახელო სოფელს უტევდა.

ამ ჯგუფში შედიოდა სერგო ჩხაიძის ათეულიც.

მან იცოდა, სად იყო გაჭრილი მავთულღობურები მისი მებრძოლების გასასვლელად, მაგრამ მტერმა ისე დასეტყვა იქაურობა, რომ წინსვლა შეუძლებელი გახდა.

არა და — იერიშის დაყოვნება სიკვდილზე მწარე იყო სერგო ჩხაიძისათვის.

განუსჯელი რისკი საქმეს ავნებდა. მისი ნათელი გონება გამგელებული ეძებდა რაიმე გამოსავალს.

ხელმარცხნივ პატარა ხევი მოსჩანდა, ამ ხევიდან იგი უფრო მარჯვედ მიეჭრებოდა სოფელს. მისი დარჩენილი ვაჟკაცები შესძლებდნენ გარემოვლას, თუ როგორმე მავთულღობურებს გადალახავდნენ.

— უნდა გადალახონ! — გაიფიქრა უფროსმა სერჟანტმა და სწორედ მაშინ იყო, რომ მისმა ხელმა ნაჯახი ჩაბღუჯა.

რამდენიმე მოჭრილი ნახტომი და — სერგო ჩხაიძე ხევისკენ დაეშვა.

კვალდაკვალ მიჰყვნენ მებრძოლები.

ახლა ისინი გერმანელთა ცეცხლის გარეთ იყვნენ.

აგერ ვავთულღობურების პირველი წყებაც გამოჩნდა.

— მომყევით! — დასძახა უფროსმა სერჟანტმა და ნაჯახი შემართა.

თვალის დახამხამებაში დასჩეხეს დაბურდული მავთულები.

პირველად ჩხაიძე გადაეკურდა მავთულღობურებს გადალმა.

გადაეკურდა თუ არა, უმალვე გახვედა:

შემხვარი ბალახი შენიშნა, მოწყენილი ფოთოლი.

გარშემო ყველაფერს მწვანე ალი მოსდებოდა. ღელავდა, ბიბინებდა მაისის მოლი.

მხოლოდ აგერ მიწაზე განაბულ ჩხაიძის თვალწინ პატარა, მრგვალი ხუფისოდენა ადგილზე ბუნებას გაეხმო ახლად ამოყრილი ბალახი.

ბუნებას თუ გერმანელს?!

— ზუმბა მომაწოდე

№ 4 სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის (ხარკოვი) მთავარმა მექანიკოსმა ნიკოლოზ პეტრეს-ძე პანკრატოვმა თავისი პირადი დანაზოგიდან 58 ათასი მანეთი შეიტანა თვითმფრინავი ქვემეხის ასაგებად და ამხანაგ სტალინს წერილით სთხოვა გადაეცა ქვემეხი მისი შვილის ალექსანდრესათვის. ამბ. პანკრატოვის თხოვნა დაკმაყოფილებულია.

ამას წინათ ამბ. პანკრატოვმა სახელმწიფო ბანკის მეშვეობით 50 ათასი მანეთი გადაგზავნა კიდევ მთავარი სარდლობის ფონდში. ტანკის ასაგებად, უმცროსი შვილის ვლადიმერისათვის, რომელიც სატანკო სასწავლებელში სწავლობს.

სურათზე: უფროსი სერჟანტი ალექსანდრე პანკრატოვი (მარჯვნივ), უჩვენებს მამას თვითმფრინავი ქვემეხის აღნაგობას.

ფოტო ნ. შიკალენკოსი (საკდესის ფოტოქრონიკა).

საერთაშორისო მიმოხილვა

წარსულმა კვირამ, როგორც წინა კვირამაც, წითელი არმიის მძლავრი შეტევის ნიშნით განვლო. ჩვენი ჯარები აშსტვრევენ გერმანელთა ხანგრძლივ თავდაცვას, სძლევენ მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას, ანადგურებენ მის ცოცხალ ძალას, სპობენ მის ტექნიკას და გზას იკვლევენ უფრო და უფრო შორს — დასავლეთისაკენ. ისინი ასრულებენ სამშობლოს წმიდა ბრძანებას, დიდი სტალინის ბრძანებას ჰიტლერული სიბილწისაგან მთელი საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლების შესახებ.

წითელმა არმიამ 28 ივნისს გაათავისუფლა კარელია-ფინეთის რესპუბლიკის დედაქალაქი — პეტროზავოდსკი. გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი 3 ივლისს განდევნილ იქნენ ბელორუსიის დედაქალაქ მინსკიდან. 6 ივლისს მოსკოვმა სალუტი მისცა კოველის განთავისუფლების პატივსაცემად.

პეტროზავოდსკი-კოველი, — ასეთია წითელი არმიის შეტევის მასშტაბი. თუ მიემართავთ სწყის პოზიციებს, რომლებისგანაც დაწყებულ იქნა შეტევა, ცხადი შეიქნება, თუ რა სასტიკი დამარცხება განიცადეს უკვე გერმანელებმა.

ჰიტლერელები ჰკარგავენ არა მარტო უდიდეს ტერიტორიებს. საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებში მოყვანილი მასალები მჭევრმეტყველურად ლაპარაკობენ მოწინააღმდეგის უდიდესი ზარალის შესახებ ცოცხალ ძალისა და ტექნიკის მხრივ.

შვედური გაზეთი „გეტებორგს ჰანდელსტიდნინგენი" წითელი არმიის მიერ მინსკის აღების შემდეგ სწერდა: „ლადოგის ჩრდილოეთით და სამხრეთით შეტევას არაჩვეულებრივი სისწრაფით მოჰყვა რუსების უდიდესი ძალის დარტყმა ბელორუსიის ფრონტზე, რაც მალე გახდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ოპერაცია აღმოსავლეთში. ვიტებსკი და მინსკი იერიშით არის აღებული. გერმანელთა დიდი ქვეგანაყოფები ან მოსობილია, ან ტყვედ ჩავარდნენ. თავდამცველთა ზარალი უდიდესია... გერმანელთა დამარცხება უდავოა."

სამოლოოდ გაკრუპენტელებული გერმანელ ფაშისტთა პროპაგანდა ტლანქად ცდილობს მოუძებნოს ახსნა გერმანელთა ჯარების დამარცხებათა მიზეზებს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. ჰიტლერული საინფორმაციო ბიურო დაბნეულად ლუღლუღებს: „აღმოსავლეთის ფრონტის ცენტრალურ უბანზე მძიმე თავდაცვითმა ბრძოლამ **მოსალოდნელი** მიმართულება მიიღო (ხაზგასმულია ჩემს მიერ — ი. ვ.). მოწინააღმდეგის დაჯგუფებებმა, რომლებიც მინსკის სამხრეთით და ჩრდილოეთით უტევენ, წაიწიეს ბარანოვიჩისა და მოლოდეჩნოს რაიონში იმ მიზნით, რომ დაეკავებინათ ეს შუალედი ზღუდეები". მოლოდეჩნო, როგორც ცნობილია, უკვე აიღეს საბჭოთა ჯარებმა. გერმანელთა საგენტო თითქოს წყალში იტაცებოდა. დაე იტაციოს, იგი ჯერ კიდევ ბევრ რამეს დაინახავს!

წითელი არმიის ახლანდელი შეტევა გამოირჩევა თავისი სისწრაფით. წითელ არმია წარმატებით ათავისუფლებს საბჭოთა მიწა-წყალს, სპობს ჰიტლერელთა ურდოებს. ეგი არ უშვებს მტერს, გარს ერტყმის და, თუ მტერი არ ნებდება, სპობს მას.

სასტიკმა დამარცხებამ, რაც უკვე განიცადეს გერმანელებმა წითელი არმიის სწრაფი შეტევის შედეგად, შეშფოთება გამოიწვია ფაშისტური გერმანიის მმართველ წრეებში. უცხოეთის პრესა იუწყება, რომ გერმანელებს სწრაფად გადაჰყავთ აღმოსავლეთში თავიანთი უკანასკნელი რეზერვები. ამაში არაფერია საკვირველი და მოულოდნელი. წითელი არმიის შეტევამ მკვეთრად შესცვალა მთელი სამხედრო-სტრატეგიული ვითარება ევროპაში. ომი გერმანიის საზღვრებს უახლოვდება.

გერმანელი ფაშისტი მხეცი ემზადება შეუპოვარი თავდაცვისათვის, მას ესმის, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სწარმოებს. მომავალი ბრძოლები განსაკუთრებით შეუპოვარი, განსაკუთრებით მკაცრი იქნება. ომის დამამთავრებელი ფაზა, ბუნებრივია, ყველაზე უფრო ძნელი იქნება და მოითხოვს მთელი ჩვენი ძალების დაძაბვას.

ჩვენ გვყავს ეს ძალები. ისინი იზრდებიან. და ეს არის ჩვენი მომავალი გამარჯვების საწინდარი, გერმანელთა გარდუვალი დამარცხების საწინდარი

* * *

ჰიტლერელებს თავიანთი რეზერვები აღმოსავლეთში გადმოჰყავთ. ისინი აღიარებენ, რომ, როგორც წინათ, ისე ახლაც საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტი მთავარი და გადამწყვეტია. მაგრამ ჯარების გადმოყვანა აღმოსავლეთში ნიშნავს თავდაცვის შესუსტებას დასავლეთსა და სამხრეთში. ამ მხრივ საგანგებო საგულისხმო სიმარი მოქმედების განვითარება იტალიაში. კესელრინგმა, მიუხედავად სასტიკი დამარცხებისა, ვერ მიიღო და ვერ ღებულობს ვერავითარ დამხმარე ძალებს გერმანიიდან.

სავსებით ნათელია, რომ ასეთსავე მდგომარეობაში იქნებიან ის გენერლებიც, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ თავდაცვა დასავლეთში. და იქ რომ საქმე კარგად არ არის, — ამას უაღრესი დამაჯერებლობით მოწმობს ისეთი ფაქტი, როგორიც არის დასავლეთში გერმანიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის გენერალ-ფელდმარშალ რუნდშტედტის გადაყენება. მის ადგილზე დანიშნულია გენერალ-ფელდმარშალი ფონ-კლიუგე, რომელმაც უკვე იგემა დამარცხება საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. უცხოეთის პრესა უსაფუძვლოდ როდი აღნიშნავს, რომ რუნდშტედტი განტევების ვაკი, მოწოდებული — პასუხი აგოს გიჟი „ფიურერის" ცოდვებისათვის. ჰიტლერმა, როგორც ცნობილია, მოკავშირეთა ჯარების გადასხდომის შემდეგ განაცხადა, რომ იგი კისრულობს თავდაცვის მთავარ ხელმძღვანელობას დასავლეთში.

რუნდშტედტის გადაყენება გერმანელთა დამარცხების თავისებური აღიარებაა. მართლაც, უკვე ერთი თვეა, რაც მოკავშირეთა ჯარები კონტინენტზე იმყოფებიან. ისინი არ არიან გადაყრილი ზღვაში, არ არიან დაქსაქსული და არ არიან მოსპობილი. პირიქით, მათ დაიკავეს შერბური, აქვთ ხელსაყრელი პლაცდარმი, განაგრძობენ ჯარების გადაყვანას კონტინენტზე. შექმნილია წინაპირობანი, შეტევის გაშლისათვის, შეჭრის არმიის მთავარი ძალების ამოქმედებისათვის. ეს ხელსაყრელი პერსპექტივები იზრდება წითელა არმიის წარმატებითი შეტევით, გერმანელთა დამარცხებებითა და ზარალით, რასაც ისინი განიცდიან საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.

* * *

შვეიცარული გაზეთი „ნოიე ციურხერ ციტუნგი" იუწყება, რომ უნგრეთში აღარ ჰყოფნით სატუსაღოები... უნგრელებისათვის. დაპატიმრებამ მთელ უნგრეთში ისეთი მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ სატუსაღოებად გამოიყენეს მრავალი სასტუმრო, სკოლა და სხვა შენობები. მთელი უნგრეთი დაფარულია საკონცენტრაციო ბანაკების ქსელით. შემოღებულია სისტემა მძევლებისა, რომელთაც ხვრეტენ, თუ ჰიტლერელები ვერ შეესლებენ საბოტაჟისა და დივერსიების ჩამდენ დამნაშავეთა პოვნას. ასეთია საოკუპაციო რეჟიმის ზოგიერთი თვისება, რომელიც „დაიმსახურა" უნგრეთმა ჰიტლერის ავაზაკურ ბანაკში თავისი ყოფნის შედეგად. მაგრამ ეს საქმის ერთი მხარეა, რომელიც მოწმობს, როგორ იტანჯება უნგრელი ხალხი ხორტისა და მმართველი ხროვის გამცემლობისათვის. მეორე მხარე კი იმაში მდგომარეობს, რომ მასობრივი დაპატიმრებანი და რეპრესიები უნგრეთში შინაპოლიტიკური მდგომარეობის უაღრესი გამწვავების მაჩვენებელია. უნგრეთი კატასტროფისაკენ მიდის.

ასეთია ჰიტლერის თვითეული ვასალის გარდუვალი ხვედრი. ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს ის მდგომარეობა, რომელიც ფინეთში შეიქმნა მისი მმართველების დანაშაულებრივი და დამღუპველი პოლიტიკის შედეგად.

ფინეთის პრემიერ-მინისტრმა ლინკომიესმა თავის უკანასკნელ გამოსვლაში გულახდილად განაცხადა, რომ გერმანია და ფინეთი ერთ საერთო ომს აწარმოებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ფინელმა მმართველებმა ნიღაბი მოიხსნეს. ისინი წარსდგნენ მთელი მსოფლიოს წინაშე, როგორც გერმანელთა დაქირავებულნი, როგორც გერმანელ ფაშისტთა მონები, რომლებმაც საბოლოოდ დაუკავშირეს თავიანთი ბედი ჰიტლერს.

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ფინეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა ადასტურებს ფინეთის მმართველი წრეების პოლიტიკის სრულ ჩაშლას.

ფინელი ჰიტლერელები ცდილობენ ნუგეში იმაში ჰპოვონ, რომ მათ გერმანია „უშველის". მაგრამ ეს ვარაუდი ქვეშაზეა აგებული. თვით ჰიტლერულ გერმანიასაც კი ახლა უკვე ვერაფერ და ვერაფერი ვერ უშველის. იგი გარდუვალი კატასტროფისაკენ მიდის. ასეთივე სამარცხვინო ბოლო ელოდება ყველას, ვინც დაუკავშირდა გერმანიას საერთო ბოროტმქმედებებით თავისუფლებისმოყვარე ხალხთა წინააღმდეგ.

ი. ვიქტოროვი

დეტალები

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დილის ცნობა

ლონდონი, 8 ივლისი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დილის ცნობაში ნათქვამია:

კარანტანის სექტორში ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც აღმოსავლეთიდან უტევენ, გაიფართოვეს პლაცდარმი მდინარე ვირს გაღმა. ჩრდილოეთით მოკავშირეთა ჯარების სხვა ნაწილებმა წინ წაიწიეს კარანტანიდან სენ-ჟან-დე-დეს მიმართულებით მიმავალ გზაზე. ეს ორი დაჯგუფება, რომლებიც ერთმანეთს უახლოვდებიან, ამჟამად ორ მილზე იმყოფება ქალაქთან.

მოკავშირეთა ავიაცია უშუალო დახმარებას უწევდა სახმელეთო ჯარებს ბრძოლებში, რომლებიც მიმდინარეობდა 7 ივლისს დღისა და საღამოს განმავლობაში, და თავს ესხმოდა მოწინააღმდეგის ობიექტებს.

ფრანგი პატრიოტების საბრძოლო აქტივობა

ჟენევა, 6 ივლისი (საკდესი). საფრანგეთიდან იუწყებიან, რომ ფრანგი პატრიოტების რაზმებმა ამას წინათ სონისა და ლუარის დეპარტამენტში გაათავისუფლეს ქალაქები კლიუნი და ტურნიუ. გერმანელთა გარნიზონი ტურნიუში თითქმის სავსებით მოსპობილია. ტურნიუს დაკავების შედეგად გადაჭრილია გერმანელების მთელი სახმელეთო და წყლის კომუნიკაციები მდინარე სონის ხეობაში.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 8 ივლისი (საკდესი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების მთავარი შტაბი იუწყება, რომ ამერიკის მე-5 არმიის ნაწილებმა დასძლიეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა, დაიკავეს როსინიანო-მარიტიმო, კასტელინა-მარიტიმო და სამხრეთიდან მიადგნენ პოჯიბონსის. ინგლისის მე-8 არმიის ნაწილებმა რამდენიმე კონტრიერიში მოიგერიეს არეცოს ახლოს და წინ წაიწიეს. ტიბრის ზემოწელის ხეობაში მე-8 არმიის ინდოელთა ნაწილები, რომელნიც წინ მიწევდნენ უნბერტიდეს ჩრდილოეთით, ახლა მონტონის გარეუბანში იმყოფებიან. ადრიატიკის სექტორში, მტრის წინააღმდეგობის მიუხედავად, მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს ოზიმოს ჩრდილო-დასავლეთით.

მოკავშირეთა ავიაციამ იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის ობიექტებზე სილეზიაში, იუგოსლავიაში, ჩრდილოეთ იტალიასა და საბერძნეთში. მოკავშირეთა ხმელთაშუა ზღვის ავიაციამ 2.200-მდე თვითმფრინავგადაფრენა მოახდინა.

ამერიკის ზემძღავრი „მშრინავი სიმაგრეების" თავდასხმა იაპონიაზე

ლონდონი, 7 ივლისი (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, ამერიკის ზემძლავრი „მფრინავი სიმაგრეები" დღეს თავს დაესხნენ იაპონიის სამხედრო-საზღვაო ბაზას სასებოში. გარდა ამისა, ბომბები ჩამოჰყარეს სამრეწველო საწარმოებზე იავატაში, რომელიც იმ თავდასხმის ობიექტი გახდა, რაც მოახდინეს ზემძლავრმა „მფრინავმა სიმაგრეებმა" ჯერ კიდევ 15 ივნისს. ორივე დაბომბილი ქალაქი მდებარეობს კუნძულ კიუსიუზე.

ნავთსაწმენდი და საავიაციო ქარხნების დაბომბვა გერმანიაში

ლონდონი, 7 ივლისი (საკდესი). ოპერაციათა ევროპის ასპარეზზე მოქმედი ამერიკის ავიაციის შტაბი იუწყება, რომ ამერიკის 750-დან 1.000-მდე მძიმე ბომბდამშენი 7 ივლისს დილით თავს დაესხა საავიაციო და ნავთსაწმენდ ქარხნებს მოკაუში (ლაიპციგის მახლობლად), ლიუკენდორფში და ცენტრალური გერმანიის სხვა პუნქტებში. ბომბდამშენებს თან ახლდა მრავალი ავიაგამანადგურებელი.

იუგოსლავიის ახალი მთავრობის შექმნა

ლონდონი, 7 ივლისი (საკდესი). რეიტერის საგენტო იმოწმებს საქმეს გაცნობილ წყაროებს და იუწყება, რომ დოქტორმა ივანე შუბაშიჩმა ლონდონიდან შეადგინა იუგოსლავიის მთავრობა ექვსი მინისტრის შემადგენლობით.

ამ მთავრობის შემადგენლობაში წამოყენებული წარმომადგენლები ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომელსაც მარშალი ტიტო მეთაურობს, — ბელგრადის უნივერსიტეტის პროფესორი სერბი სრეტენ ვუკოსავლევიჩი და სლოვენი პოლიტიკური მოღვაწე, სლოვენიის ყოფილი მინისტრი ბანი (ვუბერნატორი) დრაგო მარუშიჩი, — გაემგზავრნენ იუგოსლავიის განთავისუფლებული ტერიტორიიდან და ამჟამად გზაში იმყოფებიან.

მთავრობის ახალ შემადგენლობაში ვუკოსავლევიჩი სათავეში ჩაუდგება მომარაგების სამინისტროს, ადრეთვე მიუთმომქმედები, მადნეულისა და სატყეო სამინისტროებს. მარუშიჩი — იუსტიციისა და გზათა მინისტრი იქნება. პრემიერ-მინისტრ შუბაშიჩი კისრულობს ადრეთვე სგგარეო საქმეთა მინისტრისა დასამხედრო მინისტრის მოვალეობას.

სლოვენიის უნივერსიტეტის პროფესორი და სლოვენიის კათოლიკური პარტიის წევრი ისიდორე ცანკარი ინიშნება განათლების მინისტრად. იგი იუგოსლავიის დელეგანი იყო ანკარაში, მოკავშირეთა ელჩი ანკარაში, ბოლოს ლონდონში. ეროვნული ფრონტის ნარმომადგენელ პროტესტის ნიშნად.

მთავრობის შემადგენლობაში შედის ორი სერბი, ორი ხორვატი და ორი სლოვენი. მეფე პეტრემ უკვე ხელი მოაწერა ახალი კაბინეტის შემქმნის დეკრეტს.

უცხოეთის ქრონიკა

ბუდაპეშტის ქუჩებში ყოველ დილით პოულობენ ბევრ ფურცელს, რომლებიც მოეწერდენ სამოტაჟის, გაფიცვებისა და არმიიდან დეზერტირობისაკენ. გლეხები მალავენ სურსათს და უნგრეთის არმიის დიდძალ დეზერტირს.

* * *

ნეაპოლში დააპატიმრეს ყოფილი შინაგან საქმეთა ფაშისტი მინისტრი და მუსოლინის ახლო თანამშრომელი ჩეზარე როსი, ლეიტენანტი პიეტრო კოხი, რომელიც რომში მეთაურობდა გესტაპოს მსგავსად აგებულ ფაშისტურ ტერორისტულ ორგანიზაციას, აგრეთვე საიდუმლო ფაშისტური პოლიციის „ოვრას" მთელი რიგი ყოფილი ხელმძღვანელნი.

* * *

იმის გამო, რომ კოპენჰაგენში არ სწყდება გაფიცვები და გრძელდება ბრძოლები ქუჩებში, ქალაქში საალყო წესებია გამოცხადებული. მთავრობის ყველა შენობას გაძლიერებული რაზმები იცავენ.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა დამატებითი სია იმ ფირმებისა, რომლებსაც უნდა გამოეცხადოს ბოიკოტი მტრულ ქვეყნებთან კავშირისათვის. ამ სიაში შეტანილია ფინეთიც 69, შვეიცარიის 2, ესპანეთის 25 და არგენტინის 14 ფირმა.

* * *

15 სექტემბერს მონრიალში გაიხსნება ირრარა (გაერთიანებული ერების დახმარებისა და აღდგენის ადმინისტრაცია) საბჭოს მეორე სესია. თავდაპირველად სესიის გახსნა დასახული იყო 23 ივნისისათვის, მაგრამ გადადგა იმასთან დაკავშირებით, რომ ინგლისში შემოღებულ იქნა მიმოსვლის შეზღუდვა ევროპაში შეჭრის წინ.

* * *

გერმანელთა სამხედრო ტრიბუნალმა ქალაქ ტრუაში სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა 15 ახალგაზრდა ფრანგს. სიკვდილმისჯილთაგან ბევრს ჯერ არ შესრულებია 18 წელი.

8 ივლისი (საკდესი).

მოსწავლეთა სამხედრო-ფიზკულტურული შეჯიბრება

ამ დღეებში ქალაქ სოხუმში ჩატარდა აფხაზეთის საშუალო სკოლების მოსწავლე ახალგაზრდობის მესამე სამხედრო-ფიზკულტურული რესპუბლიკური შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 120 კაცმა.

შეჯიბრების ყველა სახეში რაიონებს შორის პირველი ადგილი დაიკავა გუდაუთამ. მან შეინარჩუნა გასული წლის პირველობა და გარდამავალი წითელი დროშა, მიიღო აფხაზეთის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატის სიგელი და ძვირფასი საჩუქარი. მეორე ადგილზე გამოვიდა ქალაქი სოხუმი, ხოლო მესამეზე—ოჩამჩირე.

გუნდურ შეჯიბრებაში—შაშხანის სროლა, ყუმბარების ტყორცნა, პლასტუნურად ხოხვა და 100 მეტრზე რბენა—პირველი ადგილი დაიკავა გუდაუთის რაიონის პირველმა გუნდმა.

1.500 მეტრზე რბენაში პირველ ადგილზე გამოვიდა ქალაქ სოხუმის პირველი გუნდი. ინდივიდუალურ შეჯიბრებაში—შაშხანის სროლა—პირველი ადგილი დაიკავა ვაქებიდან ვ. გოგოლმა (სოხუმის მეოთხე რუსული ვაჟთა სკოლა), რომელმაც 30 შესაძლებლიდან 29 ქულა შეაგროვა, ქალებიდან—ტ. გაბრიელ (გუდაუთა), რომელმაც 30 შესაძლებლიდან 26 ქულა შეაგროვა. პლასტუნურად ხოხვაში ვაჟებიდან პირველ ადგილზე გამოვიდნენ გუდაუთელი მ. ბაირამ ოღლი და ი. კვიშინია, ქალებიდან კი—ე. ჯანბა, სიგრძეზე ხტომაში—დ. ჭოხონელიძე (გაგრა) და ვ. ხრისტოსოფიდი (სოხუმი). 100 მეტრზე რბენაში ვაჟებიდან გამარჯვებული გამოვიდა ვ. ცენკო (სოხუმი), რომელმაც 12,9 წამში დაჰფარა ეს მანძილი; ქალებს მანძილზე რბენაში ქალებიდან პირველობა მოიპოვა გუდაუთის რაიონის მოსწავლემ ვ. რიაპიხმ. 500 მეტრზე გადარბენაში გოგონებიდან პირველობა ხვდა ტ. მოზგოვაიას (გულრიფშის რაიონი). დიდი ინტერესი გამოიწვია ვაჟთა შეჯიბრებამ 1.000 მეტრზე რბენაში. სოხუმელმა ვ. ცენკომ თავი ისახელა. მან 1.000 მეტრი 3 წუთსა და 9 წამში გაირბინა, მანვე აიღო პირველი ადგილი ყუმბარების შორ მანძილზე ტყორცნაში.

გამარჯვებულთაგან შესდგა აფხაზეთის ნაკრები გუნდი, რომელიც ამჟამად გაცხოველებით ემზადება საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის სამხედრო-ფიზკულტურული შეჯიბრებისათვის.

ნ. ფიქაშავიძე

ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა დათვალიერება

წელს საბჭოთა კავშირში ტარდება მუსიკალური სკოლების, სასწავლებლებისა და კონსერვატორიების მოსწავლე-შემსრულებელთა შემოქმედებითი დათვალიერება. საქართველოდან დათვალიერებაში მონაწილეობენ: თბილისის კონსერვატორიის, მუსიკალური ათწლედის, თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ფოთისა და ხაშურის მუსიკალური სასწავლებლებისა და სკოლების მოსწავლეები.

დათვალიერებას ხელმძღვანელობს რესპუბლიკური კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: პ. ახალაია (თავმჯდომარე), პროფესორები ა. ვირსალაძე, შ. მშველიძე, შ. ასლანიშვილი, ა. თულაშვილი, ო. შულგინა, ხ. ინაშვილი, კონსერვატორიის დირექტორი ი. გოკიელი, ლ. შიუკაშვილი და გ. თაქთაქიშვილი.

პირველი ტური დათვალიერებისა უკვე ჩატარდა სასწავლებლებში, რომლებმაც შეარჩიეს 182 საუკეთესო შემსრულებელი, აქედან 96 პიანისტი, 40 ორკესტრანტი და 49 ვოკალისტი. მეორე ტური შესდგება 14-19 ივლისს კონსერვატორიის მცირე დარბაზში. კონცერტები შესდგება დილით 11-4, ხოლო საღამოს 6-9 საათებში. მეორე ტურში გამარჯვებულნი სათანადოდ აღინიშნებიან. გამარჯვებულთაგან შერჩეული იქნებიან საუკეთესო შემსრულებელნი, რომლებიც გაიგზავნებიან მოსკოვს მესამე ტურში მონაწილეობის მისაღებად.

როგაჩოველ პარტიზანთა ისტორია

გერმანელ ოკუპანტებთან ბრძოლის სამი წლის განმავლობაში ბელორუსიის სსრ როგაჩოვის რაიონის პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადაგდეს მტრის ორასამდე ეშელონი ჯარებიანად და ტვირთიანად, ააფეთქეს ათობით ხიდი, დეზორგანიზაცია შეიტანეს რაიონის მთელ კავშირგაბმულობაში, ათასობით გაეცალტეს გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები. ტყეებიდან მშობლიურ რაიონში რომ დაბრუნდნენ, პარტიზანებმა ვადასწყვიტეს დასწერონ თავიანთი რაზმების ისტორია. ისინი ჭკრებენ დოკუმენტებს პარტიზანთა საბრძოლო მოქმედების შესახებ. უკვე შეგროვებულია ბევრი ნახატი და ფოტოსურათი. დიდ ინტერესს წარმოადგენს მასალები პარტიზანთა ყოფაცხოვრების შესახებ (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა



კურორტ ახტალის აბანოების შენობა. ფოტო რ. აკოფოვისა.

ცხაკაიას სახელმწიფო თეატრი

6 წელია ქ. ცხაკაიაში ფუშაობს მუდმივი სახელმწიფო დრამატიული თეატრი. მან გარს შემოიკრიბა ცხაკაიაში მანამდე არსებული თვითმოქმედი თეატრალური წრის მუშაკები, რომლებიც კვალიფიციურ მსახიობებად გაზარდა. თეატრს მისი დაარსების დღიდან ხელმძღვანელობს ამხ. შ. მჟავანაძე. საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ეს კოლექტივი უდღეოდ მუშაობს.

თეატრმა სულ განახორციელა 37 დადგმა, მათ შორის: ს. მთვარაძის „სურამის ციხე", ა. წერეთლის „პატარა კახი", ვ. გუნიას „დედმა", ა. ცაგარლის „ხანუმა", „ციმბირელი" და „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", ჰ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება", ვ. გაბესკირიას „მათი ამბავი", ვ. შალიკაშვილის „უნიადაგონი", უ. ჰაჯიბეკოვის „არშინ მალ-ალანი" და სხვ. თეატრის დადგმებს მაყურებელი გულთბილად იღებს. ექვსი წლის მანძილზე თეატრმა გამართა 612 წარმოდგენა, რომლებიც 105.000 მაყურებელმა ნახა.

თეატრი გარდა ქ. ცხაკაიას მოსახლეობისა, ემსახურება აგრეთვე კოლმეურნეობებსა და მახლობელ რაიონებს. მოეწყო 146 გამსვლელი წარმოდგენა.

კარგად არის დაყენებული საშეფო მუშაობა. დაიდგა მიზნობრივი სპექტაკლები, რომელთა მთელი შემოსავალი გადაეცა თავდაცვისა და ფრონტელთა ოჯახების დახმარების ფონდებს.

თეატრს კარგი კოლექტივი ჰყავს. კობიძე, გაბესკირია, არჩაია, ალანდაძე, შარვაძე, გაგუა, სალაყაია, დვალიშვილი, დადიანი, კანკავა თეატრში მივიდნენ სცენისმოყვარეებად, ახლა კი კვალიფიციური მსახიობები არიან.

თეატრის მთელი რიგი მუშაკები სამამულო ომის ფრონტებზე იბრძვიან. ასეთები არიან: ლაშხი, ანტიპოვი, შარვაძე, გაგუა, გუნია, არჩაია, ტერტერაშვილი და კანკავა.

თეატრს აქვს საკუთარი მუზეუმი, რომელიც დაცულია 6 წლის მანძილზე დადგმული პიესების აფიშები, პროგრამები, ფოტოსურათები, ესკიზები, მაკეტები და სხვა ექსპონატები, რაც ნათლად გვიჩვენებს თეატრის მიერ გაწეულ მუშაობას.

ცხაკაიას თეატრი კარგად მუშაობს, მაგრამ მას არა აქვს სათანადო შენობა. კარგი იქნება, თუ ზუგდიდის, ზესტაფონის, ამბროლაურის და სხვა რაიონების მაგალითის მიხედვით ვიზრუნებთ ცხაკაიას ახალი სათეატრო შენობის აგებისათვის.

ბ. გაგესკირია

მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეთა საკლასო კონცერტი

თბილისის პირველი მუსიკალური სასწავლებელი (დირექტორი ამხ. მ. ევმენოვი) ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მომღერალთა ახალი თაობის აღსაზრდელად. ამის თვალსაჩინო დადასტურებას წარმოადგენს პედაგოგ თ. საკიროვას კლასის მოსწავლეთა კონცერტი, რაც 7 ივლისს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში მოეწყო.

კონცერტში მონაწილეობა მიიღო 18 ახალგაზრდა ვოკალისტმა, რომლებმაც შეასრულეს ფალიაშვილის, ჩაიკოვსკის, რიმსკი-კორსაკოვის, არაყიშვილის, გლინკას, ვერდის, პუჩინის, გოკიელისა და სხვა კომპოზიტორების ნაწარმოებები.

კონცერტი წარმატებით ჩატარდა.

ი. კრილოვის არაკები

თბილისში მიღებულია სასკოლო ბიბლიოთეკის სერიიდან ი. კრილოვის რჩეული არაკების კრებული, რომელიც 1943 წელს ლენინგრადში გამოსცა სახელმწიფო საბავშვო გამომცემლობამ. წიგნში მოთავსებულია 49 არაკი, რომელთა საგრძნობი ნაწილი ილუსტრირებულია ა. საპოენკოვის ნახატებით.

წიგნი შეიცავს 80 გვერდს და ღირს 1 მანეთი.

მ. თოიძის ნაწარმოებთა გამოფენა

საქართველოს მხატვართა კავშირი შემოდგომაზე აწყობს საქართველოს მხცოვანი მხატვრის მოსე თოიძის ნაწარმოებთა გამოფენას. მხატვარი უკვე შეუდგა გამოფენისათვის მზადებას—ექსპონატების შეგროვებას და შერჩევას. გამოფენა ასახავს მ. თოიძის მთელ შემოქმედებითს გზას.

ლექცია

10 ივლისს, საღამოს 8 საათზე, მარქსენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალში (რუსთაველის პროსპექტი, 33) შესდგება **ამხ. ხულელიმანის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„საბჭოთა კავშირის სამამულო ომის სამი წელი".**

ბილეთების შეძენა შეიძლება კეცხოველის სახელობის თბილისის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქუჩა, № 41) დილის 9 საათიდან ღამის 11 საათამდე.

კონსულტაცია

10 ივლისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქუჩა, № 41) ლექტორებისა და პროპაგანდისტებისათვის შესდგება პროფესორ **ათაბეგოვის** კონსულტაცია რუსულ ენაზე. თემა: **„საფრანგეთი დღეს".**

თეატრებში

9 ივლისს: სახელმწიფო ოპერა—დილით—„ქეთო და კოტე", საღამოს—„ფაუსტი", **ვრიბოედოვის სახელმწ.**—დილასა და საღამოს—„საგანგებო კანონი". **ახუნდოვის სახელობის**—დილით „აშუღ ყარიბი", საღამოს — „სტუმარ-მასპინძლობა".

კინოებში

9 ივლისს: რუსთაველის სახელობის — „მოსკოვის ცა". **ოქტომბერი**—„ასი კაცი და ერთი ქალიშვილი". **დამკვრელი**—„ჩრდილოეთის ვარსკვლავი". **კომკავშირელი**—„შეეცქეს ახალი თაობადასავალი". **სპარტაკი**—„საბჭოთა სამშობლოსათვის". **26 კომისრის სახელობის** „მხიარული ახალგაზრდობა".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

თბილისის სახელმწიფო ფარმაცევტული ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე:

1. არაორგანული და ფიზიკური ქიმიის კათედრის გამგე, პროფესორი ან დოცენტი.
2. ბოტანიკის კათედრის გამგე, პროფესორი ან დოცენტი
3. ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის დოცენტი.

განცხადების შემოტანის ვადა 20 დღე გამოცხადების დღიდან. კონკურსში მონაწილეობა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია, 2. კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, სათანადოდ შევსებული, 3. საქმიანი და საზოგადოებრივი დახასიათება, 4. სამეცნიერო ხარისხის და წოდების მინიჭების ცნობა, 5. მეცნიერული შრომების ამონაბეჭდი.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექციის სახელზე, თბილისი პეროვსკაიას ქ. № 22.

ინსტიტუტის დირექცია

ცოლი მარია, შვილები ქეთო და ნუნუ იუწყებიან **დავით პავლეს-ძე დორეულის** გარდაცვალებას. გამოსვენება 11/VII, 6 ს. ყაზბეგის, 24.

ძმები იპოლიტე, ნოე, ლადიკო გეგელაშვილები, რძლები ეფეფანა და რიმა იუწყებიან **ქრისტინე ლუარსაბის-ასულ გეგელაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11/VII.

თბილისის სახ. უნივერსიტეტის პროფესორ-პედაგოგიური პერსონალი და თანამშრომლები იუწყებიან პროფესორების გიორგი და კონსტანტინე ბაქრაძეების მამის **სპირიდონ ბაქრაძის** გარდაცვალებას.

შვილები მარგო,